# ახალგაზრდა ივერიელი

ხუთშაბათი,
5 აპრილი,
1990 წ.
№ 37 (11523)

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი


ეროვნული ბიბლიოთეკა





— ეს ჩვენი ისტორიაა —

## ეკი თუ უფალკარი?

სენაკის რაიონი მდიდარია ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლებით. რომელი ერთი დავასახელოთ — ნოქალაქევი თუ შხეფი, საკალანდარაშვილოს ციხე თუ იქვე მის მახლობლად მდებარე XIII-XIV საუკუნეებით დათარიღებული წმინდა გიორგის ეკლესია, ძველი სენაკის მაცხოვრის საყდარი თუ კოტიანეთისა და ეკის ხუროთმოძღვრული ანსამბლი.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა სოფელ ეკის იოანე ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსი. ეკი მთისწინეთს შეფენილი სოფელია სამეგრელოში. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია მის სამრეკლოსთან ერთად შეისწავლა აწ განსვენებულმა ხელოვნებათმცოდნემ სოფელ ეკის მკვიდრმა ილია ადამიამ.

ეკის სამრეკლოზე არსებული წარწერებისათვის ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ყურადღება მიუქცევია აკადემიკოს მარი ბროსეს.

ეკის სამრეკლოს მხატვრულ-ხუროთმოძღვრული გადაწყვეტა დეკორული გადაწყვეტის საუკეთესო ნიმუშად უნდა ჩაითვალოს. ეკის სამრეკლო მსგავსებას პოულობს მესხეთში მდებარე შორეთის ტაძრის სამრეკლოსთან. საქართველოში აშენებულ ცალკე სამრეკლოთა შორის მხატვრული დამუშავების თვალსაზრისით მას ბადალი არ მოეძებნება.

ეკის იოანე ნათლისმცემლის აგების თარიღი, სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ გამორკვეული არ არის. კომპლექსის ეგრეთ წოდებული პირველი კორპუსი (ადრინდელი გეგმა) შეიძლება მხატვრულ ხუროთმოძღვრული თუ ეპიგრაფიული მასალით X-XI საუკუნეებს მივაკუთვნოთ. ეკის ნათლისმცემელი უგუმბათო, დარბაზული ტიპის ტაძართა რიგს განეკუთვნება. ტაძარზე შემორჩენილი ასომთავრული სამშენებლო წარწერა გვამცნობს, რომ დასავლეთის კარიბჭეს რესტავრაცია და ეკლესიის მეორე კორპუსის მიშენება უსათუოდ უნდა მომხდარიყო XV-XVI საუკუნეებში ხუროთმოძღვარ ივანე ქოროჯანიძის მიერ.

ანტირელიგიური პროპაგანდის დროს ვერც ეკის ნათლისმცემელი გადარჩა ხელყოფას. 1925 წელს იგი შესამჩნევად დაიგრა.

ეკის სამონასტრო კომპლექსის შიდა სივრცე მხატვრულობას მოკლებულია, ფრესკათა უმრავლესობა დროჟამისაგანაა განადგურებული. ამჟამად ამ მეტად საინტერესო ნაგებობას ათასგვარი ხვიარა და ვარდ-ეკალი მოსდებია, ეს სავალალოა და ქმნის სამომავლოდ კატასტროფულ მდგომარეობას. ასეთივე მდგომარეობაა იქვე მახლობლად მდებარე პალატზედაც.

აქვე ერთი საინტერესო ფაქტი უნდა მოგახსენოთ: ეს შეეხება ერთ-ერთ სიძველეთა მოყვარულსა და ენთუზიასტს. აი, რა განაცხადა სენაკელმა დემურ გადელიამ, № 2 ტრესტის გზათა მშენებლობის ავტოტრანსპორტისა და მექანიზაციის გაერთიანების უფროსმა: მომეცით რესტავრაციის გეგმა და მთელ ხარჯებს მე თვითონ გავიღებო. რაიონში ბევრია ამ მხრივ მოსაგვარებელი, მეორე წელია რაც ხარახოებშია ჩამჯდარი შხეფის ციხეც და მშველელი კი ჯერაც არსაიდან ჩანს.

აღვადგინოთ კოლხეთის მიწაზე კიდევ ერთი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. და რაც მთავარია, სოფელ ეკს დავუბრუნოთ თავისი პირვანდელი ქრისტიანული სახელი — უფალკარი.

ასე ერქვა ამ სოფელს წინათ.

**თამაზ ქიქავა**
**ავტორის ფოტოები**

### აქტუალური ინტერვიუ

## რატომ შემცირდა გაზეთები კიოსკებში

**რედაქციებში** გამუდმებით გაისმის ტელეფონის ზარის ხმა, მოდის წერილები, სადაც ადამიანები ჩივიან, რომ ვერ ახერხებენ შეიძინონ საყვარელი გაზეთი, გამოიწერონ ესა თუ ის გამოცემა. თითოეულ ჩვენგანს, ალბათ, უნახავს, თუ რა სწრაფად თავდება გაზეთები „სოიუზპეჩატის" კიოსკებში. 10-11 საათისათვის პრაქტიკულად არ რჩება არც ერთი ახალი ნომერი.

რა არის გაზეთების უმწვავესი უკმარისობის მიზეზები? ასეთი შეკითხვით მიმართა საქინფორმის კორესპონდენტმა რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის უდიდესი „ფაბრიკის" — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის დირექტორს **ვახტანგ ესვანჯიას.**

— თუ მოკლედ ვიტყვით, გაზეთების დეფიციტი გამოწვეულია ქაღალდის უმწვავესი უკმარისობით. მაგრამ, მკითხველმა უკეთ რომ წარმოიდგინოს შექმნილი სიტუაცია, უნდა განვმარტოთ შემდეგი:

ალბათ, უკვე გაიგებდით, რომ საბჭოთა კავშირში უკანასკნელ ხანს ყველგან უღრესად გამწვავდა საერთოდ ქაღალდის და, კერძოდ, გაზეთის ქაღალდის მიწოდების პრობლემა. ამ მიზეზის გამო ცენტრალური გაზეთებიც კი იძულებული გახდნენ შეემცირებინათ საცალო გაყიდვისათვის განკუთვნილი ტირაჟები. მაგალითად, „იზვესტია" 1 თებერვლიდან პრაქტიკულად ბეჭდავს მხოლოდ ხელმოწერის ტირაჟს. „ნედელია" საერთოდ აღარ იბეჭდება პერიფერიაში. როგორი სიტუაცია შეიქმნა ჩვენთან? გაზეთის ქაღალდს ვიღებთ სოლიკამსკის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატიდან, ეს ჩვენი ტრადიციული მომწოდებელია. მაგრამ მიმდინარე წელს საწარმომ ხელი მოაწერა ჩვენთან ხელშეკრულებას ქაღალდის საჭირო მოცულობის მხოლოდ 80 პროცენტის მოწოდებაზე. მანამდე კი, ხუთი პროცენტი საკავშირო მთავრობამ ქაღალდის ყველა მომხმარებელს შეუმცირა. ამის შედეგად მარტო პირველ კვარტალში დაგვაკლდა დაახლოებით 1000 ტონაზე მეტი ქაღალდი, ხოლო წლის ბოლომდე მოსალოდნელია 3600 ტონის დანაკლისი, რაც მთელი ერთი კვარტალის ნორმაა. თუ გავითვალისწინებთ მრავალ რესპუბლიკურ გამოცემაზე ხელმომწერთა რიცხვის მკვეთრ ზრდას, მაშინ არ გაგვიძნელდება წარმოვიდგინოთ, თუ რა სიძნელეებს გადავაწყდით. ვითარება დღითიდღე უარესდება, მდგომარეობას ართულებს რკინიგზის ტრანსპორტის დიდი შეფერხებით მუშაობა.

**— რა ზომებს იღებთ იმისთვის, რომ როგორმე გამოასწოროთ მდგომარეობა?**

— გულახდილად გეტყვით, რომ არაერთხელ გვიცდია დაგვეწყო მოლაპარაკება მომწოდებელთან მომარაგების გაუმჯობესებაზე. ვთავაზობდით პირდაპირ საქონელგაცვლასაც — ქაღალდის სანაცვლოდ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქციას. თანახმა ვიყავით ქაღალდი კომერციული ფასითაც შეგვეძინა. მაგრამ, ვერავითარ შედეგს ვერ მივაღწიეთ. ჯერჯერობით საქმეს ვერ შველის საკავშირო არბიტრაჟის ჩარევაც. საქმე ის არის, რომ მომწოდებელს თვითონ არ გააჩნია ძირითადი ნედლეული — ხე-ტყე. ამიტომ, მოგვიხდა მიგვეღო უკიდურესი ზომები — 1 აპრილიდან შეგვემცირებინა გაზეთების გამოშვება, საცალო ტირაჟი. მოვიყვანთ რამდენიმე ციფრს, რომლებიც თავისთავად მეტყველებენ. „სოიუზპეჩატის" კიოსკებში ყოველდღიურად ვერ ვაწვდით გაზეთ „კომუნისტის" 50 ათას ეგზემპლარს, „ზარია ვოსტოკას" — 12 ათას, „სოფლის ცხოვრების" 20 ათას, „ახალგაზრდა ივერიელის" — 25 ათას, „თბილისის" — 20 ათას ეგზემპლარს. კიოსკებს დააკლდა სხვა პოპულარული გამოცემები. ეკონომიის მიზნით მივმართავთ ისეთ ღონისძიებებსაც, როგორიც არის გამოცემათა პერიოდულობის, ფორმატის შემცირება. ასეთი ღონისძიებები საშუალებას მოგვცემს წლის ბოლომდე დავზოგოთ ათას ტონამდე გაზეთის ქაღალდი. მაგრამ ეს არც საკმარისია და, ბუნებრივია, არც არის გამოსავალი. პირველ რიგში ვზარალდებით ჩვენ თვითონ—გამომცემლობა. წინასწარი გაანგარიშებით გეგმას დააკლდება 1,6 მილიონი მანეთი. ასეთივე მდგომარეობა იქნება რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს შესაბამის სამსახურებშიც.

რა თქმა უნდა, ჩვენ უფრო გვაღელვებს ის გარემოება, რომ იზრდება უკმაყოფილება ადამიანებს შორის გაზეთების დეფიციტის გამო. ზოგიერთ მოქალაქეს, რომელსაც არა აქვს სწორი ინფორმაცია, ეჭვიც კი შეაქვს იმაში, რომ გამყიდველები მალავენ გაზეთების ეგზემპლარებს.

შევეხები კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას. დღეს მოგვიცვა გაზეთების ნამდვილმა ბუმმა. დღე ისე არ გავა, რომ ჩვენს გამომცემლობას ამა თუ იმ საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ არ სთხოვოს ხელშეწყობა ახალი პერიოდული გამოცემის გამოშვებაში. რა თქმა უნდა, რაც მეტი საინტერესო დამოუკიდებელი გაზეთი და ჟურნალი იქნება, მით უკეთესია, მაგრამ, სამწუხაროდ, ქაღალდის დიდი დეფიციტი, ასევე პოლიგრაფიული სიმძლავრეების უკმარისობა საშუალებას არ გვაძლევს განვახორციელოთ ეს იდეები. გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ ყოველივე ეს დროებითი მოვლენაა. (საქინფორმი).

### ქრონიკა

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგედ დამტკიცებულია**

**გივი მოსეს ძე თალაკვაძე**

**საერთო განყოფილების გამგედ დამტკიცებულია**

**თენგიზ ესტატეს ძე აბულაძე**

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიულ კონტროლის კომისიაში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისია განაგრძობს პოლიტიკურ ბრალდებათა შესწავლას, რომელიც წაყენებული ჰქონდათ 30-40-იანი წლებისა და 50-იანი წლების დამდეგის პერიოდში რეპრესირებულ კომუნისტებს პარტიიდან გარიცხვის დროს. 1990 წლის 25 მარტისათვის ამ კომისიის წინადადებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა საფუძველზე პარტიის ხაზით აღდგენილი და რეაბილიტირებულია 254 კაცი.

განვაგრძობთ სიკვდილის შემდეგ რეაბილიტირებულ კომუნისტთა სიის ბეჭდვას. მათ შორის არიან:

ნიკოლოზ ნარიმანის ძე აბაშიძე — ხრამის ელექტროსადგურის მშენებლობის უფროსის მოადგილე, სოფიო სოლომონის ასული ავაქოვა — დიასახლისი, მიხეილ გრიგოლის ძე აიგუნოვი — არ მუშაობდა, გიორგი ნასყიდას ძე არზუკანოვი — თბილისის მთავარ ფოსტამტის ადმინისტრაციული ნაწილის გამგე, ავაქ არტემის ძე არუთინოვი — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ლითოგრაფიის კალკულატორი, ავეტიკ ოვაკიმის ძე ბაღდასაროვი — კარაქ-საჰნის ტრესტის მუშა, სიმონ გლახოს ძე ბერიაშვილი — გურჯაანის რაიონის სოფელ ახაშენის კოლმეურნეობის წევრი, გიორგი დავითის ძე ბოსიკაშვილი — პენსიონერი, სერგი თომას ძე ბულაშვილი — სოფელ წითელწყაროს კოლმეურნეობა „შრომის“ თავმჯდომარე, ნინო გიორგის ასული გაბინაშვილი — მცხეთის რაიონის სოფელ მეგვის საავადმყოფოს მედდა, ოვაქიმ ხაჩატურის ძე გასპაროვი — თეთრი წყაროს რაიონის სოფელ სანგრეთის კოლმეურნეობის დურგალი, ევგენი რაჟდენის ძე გელეიშვილი — გორის სახელმწიფო პოლიტსამმართველოს რაიგანყოფილების რწმუნებული, რომან კონსტანტინეს ძე გლადკოვი — არ მუშაობდა, ივანე ნასყიდას ძე გოგოლაშვილი — გურჯაანის რაიონის მონადირეთა საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, თეოფანე ქრისტეფორეს ძე გორგასლიძე — საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო ბანკის ინსპექტორი, შალვა ბაგრატის ძე გოჩელაშვილი — ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის მე-3 კურსის სტუდენტი, ვარლამ იოსების ძე გრიგორაშვილი — კავშენრკინიგზის საწარმოო განყოფილების ინჟინერი, სანდრო გიორგის ძე გუგუჯარაიძე — პირადი მეურნეობის მიწათმოქმედი, დუშეთის რაიონში, გიორგი ილიას ძე დავითაშვილი — რადიოსატელეგრაფო ქარხნის დირექტორი, ვალენტინ მელიტონის ძე დოლიძე — საინჟინრო-ტექნიკურ ნაგებობათა საგზაო ბიუროს თავმჯდომარე, ქეთევან ნესტორის ასული დუმბაძე — უპატრონო ბავშვთა კოლექტორის გამგე, მარიამ დიმიტრის ასული ვასინა — საქართველოს სსრ მთავლიტის რწმუნებული, ეპრაქსია გიორგის ასული ზაქარეიშვილი — საქართველოს სსრ მთავლიტის უფროსის მოადგილე, ვასილ ნიკოლოზის ძე ზიკანოვი — კავკასიის მე-20 მსროლელი დივიზიის ბატალიონის კომისარი, სურენ ივანეს ძე ზურაბიანი — საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს განყოფილების უფროსი, სიმონ ივანეს ძე თადუმაძე — სამტრედიის რაიონის სოფელ ხუნჯულაურის კოლმეურნეობის წევრი, მელიტონ დავითის ძე თელია — ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის — ზაჰესი-ის ელექტროსაამქროს ოსტატი, ელისე ივანეს ძე თოდრაძე — ბორჯომის რაიკოოპკავშირის საწყობის გამგე, არმენა ავეტისის ძე ისრაელოვი — ქ. თბილისის 26 კომისრის რაისაბჭოს სარემონტო კანტორის უფროსი, ანდრია მიხეილის ძე კოპაძე — გაზეთ „კრასნი ვოინის“ პასუხისმგებელი რედაქტორი, გიორგი ალექსის ძე კულუმბეგაშვილი — გურჯაანის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის დირექტორი, აკაკი ალექსის ძე ლეკვეიშვილი — ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-3 უბნის სახალხო მოსამართლე, ილია ივანეს ძე მათიაშვილი — გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, პორფილე გაბრიელის ძე მამფორია — დუშეთის მაზრის სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი, ბორის ალექსანდრეს ძე მანაევი — არ მუშაობდა, შალვა ანტონის ძე მარგალიტაძე — საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის მატერიალური ბალანსების სექტორის უფროსი, ფანია მორდეხის ასული მარკოვნიკი — საქართველოს სსრ შინსახკომის კადრების განყოფილების ინსპექტორი, სერგი ნიკოლოზის ძე მარსანოვი — „საქშენის“ ტრესტის მეურნეობის გამგე, პორფილე ბესარიონის ძე მაშავა — ფოთის სავაჭრო ნავსადგურის მექანიკური ქარხნის ხარატი, შალვა იაკობის ძე მელაძე — საქართველოს სსრ შინსახკომის ერთ-ერთი განყოფილების უფროსის მოადგილე, გიორგი მიხეილის ძე მესხიძე — თბილისის კალინინის სახელობის ქარხნის ზეინკალი, გიორგი ანდრიას ძე მეტრეველი — გორის რაიონის ტირძნისის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, შალვა მელიტონის ძე მიქაძე — შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის მუშაკი, სამსონ იოსების ძე მურვანიძე — ლანჩხუთის რაიონის აგრონომ-მეაბრეშუმე, ყარამან იოსების ძე ნიკოლაიშვილი — ოზურგეთის რაიონის სოფელ შუაბახვის კოლმეურნეობის წევრი, ნესტორ ანტონის ძე ორდენიძე — თბილისის პედინსტიტუტის მე-2 კურსის სტუდენტი, გრიგოლ იანის ძე პანაიოტი — ფოთის საქალაქო სახანძრო დაცვის სამეურნეო ნაწილის გამგე, ანატოლი სერგის ძე პრაგა — „ჩაიმშენმონტაჟის“ ტრესტის მომარაგების განყოფილების უფროსი კონსულტანტი, კონსტანტინე ნიკოლოზის ძე რაზუვაევი — ტრესტ „საქხორცის“ მღებავი, გიორგი ილიას ძე სესიაშვილი — გურჯაანის რაიონის ველისციხის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, გიორგი ვასილის ძე სტეპანოვი — „ჭიათურმანგანუმის“ ტრესტის მთავარი მექანიკური სახელოსნოების დირექტორი, დავით ზაქარიას ძე ტერტერაშვილი — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის სატრანსპორტო საამქროს უფროსი, კონსტანტინე კარლოს ძე უბერი — ქართული 47-ე სამთომსროლელი დივიზიის უფროსი, მირიან ბესარიონის ძე უნგიაძე — „მთავართამბაქოს“ ბაზის გამგე, მიხეილ მაქსიმეს ძე ფაჩულია — თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლის დირექტორი, ნიკოლოზ დიმიტრის ძე ფილიპოვი — საქართველოს სსრ შინსახკომი (თანამდებობა არ არის აღნიშნული), დიმიტრი მიხეილის ძე ფულარია — ფოთის ნავსადგურის მთავარი დისპეტჩერი, იპოლიტე ილიას ძე ქურდაძე — ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის სადგურის მეისრე, მართა სიმონის ასული შარაბიძე — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამმართველოს საფოსტო განყოფილების უფროსის მოადგილე, კონსტანტინე პეტრეს ძე შოტი — თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის დირექტორი, გრიგოლ ედიშერის ძე შუკაკიძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეურნეო ნაწილის გამგე, გიორგი გიორგის ძე ჩხეიძე — თბილისის საქალაქო აღმასკომის საგეგმო კომისიის პასუხისმგებელი შემსრულებელი, ვლადიმერ პავლეს ძე ჩხეტიანი — მიწათმოქმედი, ცაგერის რაიონის, სოფელ ლაილაშის პირად მეურნეობაში, კირილე ისლამის ძე ციმინტია — ზუგდიდის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის დირექტორი, არკადი (აკაკი) გიორგის ძე ცხომელიძე — საგარეჯოს რაიკოოპკავშირის თავმჯდომარე, ვასილ ბენედიქტეს ძე წივწივაძე — ამიერკავკასიის სახვაჭრობის სატრანსპორტო განყოფილების გამგე, კაპიტონ თედორეს ძე წურწუმია — ბუღალტერი (ორგანიზაცია არ არის აღნიშნული), დავით ივანეს ძე ჭანტურიშვილი — 63-ე ქართული მსროლელი დივიზიის სამხედრო პროკურორი, ქიშვარდ ალექსანდრეს ძე ხაბეიშვილი — პენსიონერი, ბერო იაგორის ძე ხარიბეგაშვილი — გორის რაიონის სოფელ კარალეთის კოლმეურნეობის წევრი, სიმონ ალექსის ძე ხასიევი — თბილისის ტრამვაის ტრესტის მოძრაობის სამსახურის პარტორგი, სოლომონ მაქსიმეს ძე ხეთერელი — ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის დეპოს მემანქანე, პეტრე ფრანცის ძე ხითაროვი — საქართველოს „მთავარკურორტსამმართველოს“ უფროსი, გაბრიელ ნიკოლოზის ძე ხმალაძე — საქართველოს სსრ საშინაო ვაჭრობის რწმუნებული, ბორჯომის რაიონში, ფილიპე პავლეს ძე ხუფენია — ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელის კოლმეურნეობის წევრი, პეტრე ალექსის ძე ჯალაღანია — სამტრესტის კონიაკის ქარხნის დირექტორი, ვასილ გიორგის ძე ჯიბლაძე — თბილისის „ტრანსორგკვების“ სავაჭრო-შემსყიდველი ბაზის უფროსის მოადგილე, ვალერიან იოსების ძე ჯიჯეიშვილი — მოსახლეობის სასამართლო დაცვის განყოფილებისა და დახმარების ბიუროს უფროსი.

# „შუშანიკის წამების“ მორიგი პრემიერა

დღეს ყველა ქართველისათვის ცნობილი ფაქტია, რომ თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ისტორიაში „შუშანიკის წამება“ პირველი ძეგლია, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია... სულ ახლახან რადიოს დრამატულ გადაცემათა რედაქციამ, კიდევ ერთი რადიოდადგმის პრემიერა უძღვნა ქართველ რადიომსმენელებს. „შუშანიკის წამების“ ინსცენირების ავტორია ახალგაზრდა დრამატურგი მამუკა სალუქვაძე...

რადიოდადგმის დასაწყისშივე, მსმენელს, ეროვნული სულისკვეთებით სავსე განწყობილება გეუფლება. პირველი, რაც ყურადსაღები და განსაკუთრებით აღსანიშნავია, ჩვენამდე მოღწეულ პირველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლს ვისმენთ (ძველ ქართულ) ავტორისეულ ენაზე. რეჟისორი თავად ნაწარმოების ავტორს აკეთებინებს ისტორიულ ექსკურსს. საოცრად შთამბეჭდავად ჟღერს იაკობ ხუცესის (მსახიობი გიზო სიხარულიძე) მიერ იმდროინდელი ქართულით ამეტყველებული სიტყვათა ჰარმონია.

ნაწარმოების მთავარი გმირი, შუშანიკი (მსახიობი ნინო მამულაიშვილი) თავიდანვე იპყრობს მსმენელის ყურადღებას, მისი ხმის ჟღერადობა, ძველი ქართული ენით მეტყველება, წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს რადიომსმენელში...

თავისი მკვეთრი ხასიათით, დესპოტური ბუნებით და სიტყვით, არანაკლებ შთამბეჭდავია ვარსქენ პიტიახში (მსახიობი აკაკი ხიდაშელი)... მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევიან აგრეთვე მსახიობები: ლ. ცხვარიაშვილი, თ. ნაცვლიშვილი, ლ. ონიაშვილი, ლ. მესხი, ს. ბირიუკოვი, მ. შარიქაძე, თ. შამათავა, კ. კოკაია, ბ. მეგრელიშვილი, უ. კაპანაძე.

რადიოდადგმაში მსმენელის ყურს ხვდება ტექსტთან ერთად შერწყმული ქართული საგალობლები (მუსიკალური გამფორმებელი ლალი სეთურიძე) და მაღალპროფესიონალური ოსტატობით შესრულებული ხმის რეჟისურა (ხმის რეჟისორი რ. ტერ-გრიგორიანი). რადიოდადგმის რედაქტორია შოვინა ქაცარავა.

წერილის ბოლოს, ახალგაზრდა ავტორის, მამუკა სალუქვაძის მიერ ინსცენირებულ „შუშანიკის წამების“ რადიოდადგმის რეჟისორს, თამაზ მესხს მინდა მივულოცო რადიოდადგმის წარმატება და აგრეთვე სულ ახლახანს რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდების მინიჭება... ვუსურვებთ მას კიდევ ბევრ ჭეშმარიტ წარმატებას და მრავალი ახალგაზრდა ავტორის მოძღვრებას ქართულ თეატრში.

**ირმა კაკელიძე**

# კალმახი „დასავლეთის“ კურსს დაადგა

**ახმეტის, ახალციხის, ბორჯომისა და ქარელის რაიონების სპეციალიზებულ მეურნეობებში ამჟამად მოშენებული კალმახი მალე თავს შევიწროვებულად იგრძნობს. რესპუბლიკურმა საწარმოო გაერთიანება „საქთევზმრეწვმა“ და ბელგიის ფირმა „გაბრიელ გრუპ ოვ კამპანისმა“ ხელი მოაწერეს ოქმს თანამშრომლობის განზრახვის შესახებ. მომავალი პარტნიორობის გამოცდილება ხელსაყრელია თუნდაც იმიტომ, რომ შესაძლებლობას მოგვცემს ერთ კვადრატულ მეტრ ფართობზე მივიღოთ არა ათი, როგორც ამას ძლივს აღწევენ რესპუბლიკის მებადურები, არამედ 50-დან 100 კილოგრამამდე ძვირფასი თევზი.**

— და თუ, ჩვენს წყალსატევებში ახლა მხოლოდ 180 ტონა კალმახს ვიჭერთ, — განმარტა ეს ფაქტი საქინფორმის კორესპონდენტის თხოვნით გაერთიანების თავმჯდომარემ ამირან ცინცაძემ, — ფირმის ახალი ტექნოლოგიის დანერგვის, მოწყობილობის დადგმის შედეგად აქ ვაწარმოებთ სულ ცოტა 1000 ტონა თევზს. ხუთას ტონას რესპუბლიკის ფარგლებში გასაყიდად დავტოვებთ, მეორე ნახევარს — გადავამუშავებთ, ახლად გაყინულ კალმახს კი მივაწვდით საგარეო ბაზარზე, გასაღების შედეგად მოგება სოლიდურია, მოსალოდნელი — 1,5 მილიონი დოლარი.

ახალციხისა და ბორჯომის მეურნეობათა ბაზაზე კალმახის წარმოება 400 ტონამდე უნდა გაიზარდოს ამჟამინდელი ოთხმოცი ტონის ნაცვლად. ამგვარი საწარმოები ბელგიაში მთლიანად მექანიზებულია და იგივე ოთხასი ტონა კალმახის საწარმოებლად საკმარისია ორი და არა ოცი მომსახურე პერსონალი, როგორც, მაგალითად, ახალციხის მეურნეობაშია, სადაც მხოლოდ სამოც ტონა კალმახს იღებდნენ.

წინასწარი გამოანგარიშებით მოწყობილობის დამონტაჟება, პროგრესული ტექნოლოგიის გამოყენება, თევზის მოსაშენებლად საკვების შეძენა დაახლოებით 360 ათასი დოლარი დაჯდება. ერთი სიტყვით, მთლიანად ვაინაზღაურებთ ყველა დანახარჯს, თუ ბელგიას სამი წლის მანძილზე ას ტონაზე ცოტა მეტ კალმახს მივაწოდებთ.

**— თუ შეიძლება დაწვრილებით გვითხარით თქვენი პარტნიორების შესახებ...**

— არ დაგიმალავთ, ჩემთვის სასიამოვნოა ვესაუბრო მკითხველს ამაზე. ფირმა დაარსებულია 1928 წელს. დღეისათვის გაბატონებული მდგომარეობა უკავია ბელგიის ანალოგიურ კომპანიებს შორის თევზის წარმოებისა და მომრავლების მხრივ — ყოველწლიურად იგი ამზადებს 1200 ტონას. გარდა ამისა, სხვა ქვეყნებთანაც ვაჭრობს, თავის საშინაო ბაზარზე დამატებით შემოაქვს ექვსი ათას ტონაზე მეტი. ძმები რობერტ და რუდოლფ გაბრიელები — ფირმის მფლობელები — მეტად სიმპათიური, თავაზიანი ადამიანები არიან. რაც, ერთი შეხედვით, თითქოს წარმოუდგენელია მრავალმილიონიანი ქონების პატრონებისათვის.

**— როგორ მყარდებოდა ურთიერთობა თავიდან?**

— შარშან სექტემბერში ფირმა „გაბრიელის“ ოფიციალური რწმუნებული ჟირარ ბრუკი, რომელიც ამავე დროს წარმოადგენდა ვალონის პროვინციის დელეგაციას, საქართველოს ეწვია. გაზვიადების არ შემეშინდება — იგი აღტაცებული დარჩა ჩვენს საკალმახე მეურნეობათა ბაზაზე კოოპერირების აშკარა პერსპექტივებით. სტუმრის ყურადღება მიიპყრო საქართველოს ბუნების სიწმინდემ, რომელიც ჯერჯერობით კვლავ შენარჩუნებულია. სწორედ მაშინ მოვაწერეთ ხელი კიდეც ეგრეთ წოდებულ ოქმს განზრახვების შესახებ. საპასუხო ვიზიტი მოჰყვა მიწვევას, რომელიც მიმდინარე წლის თებერვლის დამლევს მივიღეთ. ახლა დადგა საქართველოს დელეგაციის წევრთა — რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების „საქთევზმრეწვის“ თავმჯდომარის მოადგილის ო. ჩხარტიშვილის, საქართველოს ზოოვეტინსტიტუტის რექტორის გ. აგლაძის, რესპუბლიკის სახაგროამრეწვის საგარეო კავშირურთიერთობის სამმართველოს წარმომადგენლის ვ. გვანცელაძისა და, რა თქმა უნდა, ჩემი აღტაცების ჯერი. ფირმის საწარმოები გაფანტულია პროვინციის ბევრ ქალაქში. არის საფრანგეთშიც შვილეული ფილიალები.

ვალონიის გზებმა ჩვენი ჩამოსვლის პირველ დღეს ქალაქ ჟერპინიიში მიგვიყვანა. აქ უშვებენ მოწყობილობას თევზის მეურნეობებისათვის — აერატორებს, სხვადასხვა სიმძლავრის ტუმბოებსა და ა. შ.

დანიშნულების შემდეგი პუნქტი იყო ტიანჟი, მახლობლად მდებარე ატომური ელექტროსადგური გადამუშავებულ თბილ წყალს (სხვათა შორის, რადიაციის მინიმალური დონით, ჩვეულებრივ, მდინარის წყალთან შედარებით) საწარმოს აწვდის, რაც საჭიროა არა მარტო კალმახის, არამედ კობრის, ლოქოს, დეკორატიული ჯიშის თევზების, აგრეთვე, სატყუარა თევზების მოსაშენებლად, რომელსაც მოყვარული მებადურები იყენებენ. ეს საწარმოო საქმის გაძღოლისადმი წვრილმანამდე მოფიქრებული მიდგომის მკაფიო მაგალითია. ჯერჯერობით სწორედ ეს გვაკლია ჩვენ.

გაგვაოცეს მტკნარი წყლისა და ოკეანის თევზის გადასამუშავებელმა ქარხნებმა ეტში, ლენიევილში და მალმედში. ამ საწარმოთა მუშები გასასვლელის გვერდის ავლით მაშინვე საშხაპე ოთახში შედიან და შემდეგ მთელი სამუშაო დღის მანძილზე ტერიტორიიდან არ გადიან, აქ ყველაფერია — ყველგემოვნებისათვის შესაფერი მოხერხებული პირობები, ორგანიზებული კვება, დასვენება. თუმცა ხანმოკლე დასვენება, მაგრამ მეტად შინაარსიანი.

ვალონიაში ნანახი სავსებით საკმარისი იყო იმისათვის, რომ შეგვექმნა წარმოდგენა პარტნიორის საქმიან თვისებებზე, მოგზაურობამ მონტე-კაივსა და რუპტონში — უკვე მეზობელ საფრანგეთის ქალაქებში, მხოლოდ განამტკიცა ეს. გვიჩვენეს საკალმახე მეურნეობები, რვა მილიონი ლიფსიტის მოსაშენებელი ლაბორატორია, კალმახის გადასამუშავებელი ხაზი. იგივე შთაბეჭდილება დაგვრჩა; მელე, დაუყოვნებლივ დავამყაროთ მტკიცე კონტაქტები.

ვალონიაში დაბრუნების შემდეგ რობერტ და რუდოლფ გაბრიელებმა გადმოდგეს კიდევ ერთი ნაბიჯი დასაახლოვებლად: ფირმამ გადაწყვიტა თავის სკოლაში საქართველოსათვის მოამზადოს საშუალო რგოლის სპეციალისტები, აგრეთვე იშუამდგომლოს ლიეჟის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წინაშე ამ უძველეს სასწავლებელში ხუთი წლის მანძილზე უმაღლესი კვალიფიკაციის მებადურების მომზადების შესახებ, თანაც — უსასყიდლოდ. არადა, სწავლების კურსი ყოველ სტუდენტს ოცდაათი ათასი დოლარი უჯდება.

ვიზიტის დასასრულს დავდეთ ორივე მხარისათვის ხელსაყრელი შეთანხმება. ორი თვის შემდეგ საქართველოში, ყველა გარემოების საბოლოო გარკვევისათვის, რაც შემდგომ თანამშრომლობასთან არის დაკავშირებული, ჩამოვა ფირმის რამდენიმე წამყვანი სპეციალისტი. ჩვენს შესაძლებლობებს ადგილზე რომ გაეცნობიან, ისინი შემოგვთავაზებენ რესპუბლიკის საკალმახე მეურნეობის მწარმოებლობის გაუმჯობესების თავიანთ მეთოდიკას. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება კალმახის ბინადრობის პირობებს, გამრავლების უნარს. შემდგომი ეტაპებია პერსპექტიული ტექნოლოგიის — საკვების ავტომატური დანაწილების, დახარისხების, თევზის გადამუშავების დანერგვა. პერსპექტივაშია თევზის ახალ მეურნეობათა გამოყენების და განვითარების შესაფერისი აკვაკულტურული ტექნოლოგიის გასაზღვრა, აქ, მაგალითად, მოვაშენებთ გველთევზასა და სხვა ჯიშის თევზებს....

ერთი სიტყვით, პარტნიორებს მომავალი წინ აქვთ.

**ბ. პონსენი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი სტუდენტური ქალაქი

# მაღალკვალიფიციური კადრების მოსამზადებლად

**უმაღლესი** სასწავლებლების სამეურნეო ანგარიშიანობაზე გადასვლა გაპირობებულია დღევანდელი კონკრეტული ვითარებით. უმაღლესი სასწავლებლების მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე მეტყველებს შემდეგი მონაცემები: თუ 1960 წელს სახალხო განათლებაზე მთელი ეროვნული შემოსავლის 7 პროცენტი იხარჯებოდა (ეს იყო მსოფლიოში მე-6-7 მაჩვენებელი), 1987 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა მხოლოდ 2,7 პროცენტი (ეს უკვე მსოფლიოში მე-60 მაჩვენებელი იყო). უმაღლესი განათლება უფრო მძიმე მდგომარეობაშია, ვიდრე სახალხო განათლება მთლიანად. უმაღლესი სკოლის ჩამორჩენას უკვე ახლა აქვს უარყოფითი შედეგები. პერსპექტივაში ისინი კატასტროფულ ხასიათს მიიღებენ, თუ სახალხო განათლებაზე სახსრების ხვედრით წილს 2-3-ჯერ მაინც არ გავადიდებთ დაუყოვნებლივ (იხ. ჟურ. „ეკონომიჩესკიე ნაუკი“, 1989, № 7, გვ. 5-6).

პარმენ მარგველაშვილი გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილში „ფასი სწავლისა“ აღნიშნავს: „უმაღლეს სასწავლებელში საკონკურსო ადგილების არსებული დეფიციტის გამო ერთმანეთს ეჯახება სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის, ჩრდილოვანი ეკონომიკისა და საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა ინტერესები და ეს შეჯახება დეფიციტური ადგილის მოპოვებისათვის უკომპრომისო ბრძოლად იქცევა, ბრძოლად, რომელიც უმეტეს შემთხვევაში მეტად მახინჯ ფორმებს იღებს“.

ავტორი დაასკვნის, რომ „სასწრაფოდ უნდა იქნას განხილული და გადაწყვეტილი საქართველოში უმაღლესი განათლების სამეურნეო ანგარიშის გზით მიღების საკითხი, რათა მოისპოს საზოგადოებისათვის ყველაზე საშიში და არასასურველი დეფიციტის წყარო“ (იხ. გაზეთი „კომუნისტი“, 1989, 16 აგვისტო).

საქართველოს სსრ კონსტიტუციით ყველა მოქალაქეს უფლება აქვს უმაღლესი განათლების მიღებისა, მაგრამ მისი რეალიზაცია მკვეთრად ფერხდება და მახინჯ ფორმებს ღებულობს უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების პროცედურის ყოვლად მიუღებელი მეთოდების გამო.

პროფესორი ელიზბარ ცისკარიშვილი სტატიაში „მისაღები გამოცდების უკუღმართობანი“ წერს: „უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდები ჩვენი რესპუბლიკის მთელი საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ საზოგადოებრივი აზრი მისაღები გამოცდების ობიექტურობასა და ორგანიზებულობაზე გამოკვეთილად უარყოფითია“ (იხ. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1989 წ. 30 ივნისი).

პროფესორ ელიზბარ ცისკარიშვილს მრავალი ფაქტი მოაქვს მისაღები გამოცდების უკუღმართობათა დასასაბუთებლად. ერთ-ერთი მათგანი: „14 აბიტურიენტს (ცხრამეტიდან) ფიზიკის ორივე ამოცანის ამოხსნა შეუფასდა მაქსიმალური ქულებით (სულ 10 ქულა). სწავლის დაწყებისას ისინი შეამოწმეს — ამოსახსნელად მისცეს ზუსტად იგივე ამოცანები. ამ თოთხმეტიდან თერთმეტმა სტუდენტმა ნულები დაიმსახურა“. ან კიდევ: 1988 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან გაურკვეველ ვითარებაში, საქმოსნებმა თითქმის მთლიანად იგდეს ხელთ მათემატიკის ბილეთები, რომლებსაც სათანადო ამოხსნით, ქსეროქსზე ამრავლებდნენ და აბიტურიენტებს შესაბამისი ნაკადების მიხედვით ამარაგებდნენ. როგორც ჩანს, დაასკვნის პროფესორი ელიზბარ ცისკარიშვილი, საქმოსნებს საჭირო ინფორმაციის მიღების საშუალებაც ჰქონდათ. ამიტომ ამბობს ზოგიერთი მშობელი, გამოცდებზე ნახევარი სიცოცხლე იკარგებაო.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი ვახტანგ გოგუაძე სტატიაში „უნივერსიტეტში სიახლეა“ წერს: „სწავლების ხარისხი დიდად არის დამოკიდებული ლექტორზე. მაღალკვალიფიციური ლექტორი ყოველთვის ფასობდა და დაფასდება. როცა სტუდენტი სწავლის ფულს გადაიხდის, მაშინ ის ლექტორსაც აირჩევს, თვით გადაწყვეტს, ვის ჯგუფში იმეცადინოს. სუსტი ლექტორი კი თანდათან დაკარგავს სტუდენტებს?“ (იხ. ჟურნალი „საქართველოს ქალი“, 1989, № 10, გვ. 7). თსუ-ს მთავარი ბუღალტერი თენგიზ მოშიტაშვილი სტატიაში „თბილისის უნივერსიტეტი და გარდაქმნის ზოგიერთი მომენტი“ მთლიანად უჭერს მხარს უნივერსიტეტის ნაწილობრივ ფასიან სწავლებაზე გადასვლას და ბევრ საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს (იხ. გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, 1989, 15 დეკემბერი).

მედეა გოცირიძე სტატიაში „თავისუფლება მოგვწყურდა“, აღნიშნავს: „იქნებ გავრისკოთ და ფასიან სწავლებაზეც წავიდეთ. ჩემი აზრით, მომხრესთან ერთად სწავლების ამ სისტემას არც მოწინააღმდეგე მოაკლდება, მაგრამ ფასიანი სწავლება მოსწავლისა თუ მისი მშობლის „გატყავება“ არ გახლავთ. მისი დადებითი თვისებები მრავალათეულწლიანმა გამოცდილებამ დაადასტურა“ (იხ. გაზეთი „თბილისი“, 1990, 3 იანვარი).

ერთგან ზურაბ კაციტაძე მართებულად აღნიშნავს, უსაფუძვლოა საზოგადოების შიში იმის შესახებ, რომ ფასიანი სასწავლებლები დახურული იქნება ხელმოკლე ოჯახებისათვის. ბევრ ქვეყანაში ფასიანი სწავლების მსურველს სახელმწიფო აძლევს სესხს, რომელიც უნდა დაფაროს სწავლის დამთავრების 10-15 წლის შემდეგ. ასე შეიძლება მოეწყოს ჩვენთანაც. ამავე დროს შეიძლება შეიქმნას საქველმოქმედო ორგანიზაციები, რომელნიც გამორჩეულ ნიჭიერ ახალგაზრდებს თავიანთი ხარჯით გააგზავნიან სასწავლებლად. განა არ იყვნენ ისეთები, რომლებმაც უკვდავყვეს თავიანთი სახელები მხოლოდ იმით, რომ მათ წარსულში მავანი და მავანი პიროვნება თავიანთი ხარჯით გაგზავნეს სასწავლებლად (იხ. გაზეთი „სახალხო განათლება“, 1989, 13 დეკემბერი).

თითოეულმა ფაბრიკამ, ქარხანამ, კოლმეურნეობამ, მეურნეობამ, კოოპერატივმა ხომ შეიძლება თავიანთი ხარჯებით მოამზადონ საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში თითო ახალგაზრდა. ეს დიდი ეროვნული საქმე იქნებოდა.

ნაწილობრივ ფასიან სწავლებაზე გადასვლის მოწინააღმდეგენი ძირითადად ხელფასის სიმცირეს ასახელებენ.

თანამედროვე პირობებში უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრა რეპეტიტორებთან მომზადების გარეშე თითქმის შეუძლებელია. მართებულად აღნიშნავენ აბიტურიენტები და მათი მშობლები, რომ ოთხი საგნის მომზადება 4-6 ათასი მანეთი ჯდება, რაც აბიტურიენტის მშობლებმა წლის ბოლოს უნდა გადაიხადონ.

ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ სტატიებში „უმაღლესი სასწავლებლების მეურნეობრივ ანგარიშიანობაზე გადაყვანის შესახებ“ (იხ. გაზეთი „სახალხო განათლება“, 1989, 26 მარტი), „ცხოვრების აუცილებელი მოთხოვნა“ (იხ. გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1989, 6 ივნისი), ვწერდით, რომ უნივერსიტეტში, მაგალითად, სწავლის საფასური შეიძლება დაწესდეს 10.000 მანეთის ფარგლებში 5 წლის მანძილზე, ე. ი. ყოველწლიურად სწავლის საფასური 2000 მანეთი იქნება. ეს იმას ნიშნავს, რომ სწავლის საფასურს იხდიან ერთი წლისას და არა ერთბაშად 10.000 მანეთს, რაც ყოვლად გაუმართლებელი იქნებოდა. როგორც ჩანს, ნაწილობრივი ფასიანი სწავლების მოწინააღმდეგენი სწორედ 10.000 მანეთის ერთად გადახდამ შეაშფოთა. ვფიქრობთ, ძალიან დიდი განსხვავებაა ყოველწლიურად სასწავლის საფასურის გადახდასა და ერთბაშად 10.000 მანეთის გადახდას შორის. აქვე ერთიც უნდა აღინიშნოს — მკითხველს არ უნდა ეგონოს, რომ სწავლის მთელი საფასური წინასწარ უნდა იქნას გადახდილი, რადგან პირველ კურსზე მკაცრი მოთხოვნელობის შედეგად მრავალი სტუდენტი გაირიცხება უმაღლესი სასწავლებლიდან, ამიტომ სწავლის საფასურის წინასწარ გადახდას (მთლიანად) აზრი ეკარგება, მაშასადამე, ერთი წლისათვის საჭირო სწავლის საფასურის გადახდით აბიტურიენტი ყოველგვარი გამოცდების გარეშე ხდება სტუდენტი. ერთი წლის მანძილზე ნათელი გახდება, თუ ვინ იქნება ღირსი მეორე კურსზე გადაყვანისა. მაშასადამე, სტუდენტი, რომელიც დაინახავს, რომ მას არ შეუძლია უპასუხოს მისთვის წაყენებულ მოთხოვნებს, თავის გზას იპოვის. ეს ერთი, მეორე, სწავლის საფასურთან ერთად გამოქვეყნებულ სტატიებში გარკვევით არის აღნიშნული, რომ სტუდენტს უნდა დაუწესდეს სტიპენდია 100 მანეთამდე (ჩვეულებრივი სტიპენდია), ე. ი. ხუთი წლის მანძილზე სტუდენტი სწავლის საფასურიდან 6000 მანეთს დაიბრუნებს, წელიწადში 2000 მანეთი სწავლის საფასურიდან კი 1200 მანეთს. სწავლის ნამდვილი, რეალური საფასური რჩება 800 მანეთი, რაც შეიძლება გამოყენებული იქნას ხელფასების მომატებისა და სხვა საჭიროებისათვის.

ჩვენს ოპონენტებს ვეკითხები: რით არის გაპირობებული ასეთი განრისხება, უყურადღებობით თუ უცოდინარობით?

როდესაც ასეთ პრინციპულ საკითხს ვეხმაურებით, აუცილებელია მეტი ყურადღებით წავიკითხოთ გამოქვეყნებული მასალა და გავიაზროთ, ვიანგარიშოთ, ავწონ-დავწონოთ და ასე შემდეგ.

გამოდის, რომ 5 წლის სწავლის საფასური სტიპენდიის გამოკლებით 4000 მანეთი რჩება. ხშირ შემთხვევაში, აღნიშნული თანხა, როგორც თვითონ მშობლები და აბიტურიენტები აღნიშნავენ, რეპეტიტორებთან ეხარჯებათ. ამასთან, არავინ არის დარწმუნებული, იმავე წელს მოეწყობა თუ არა აბიტურიენტი უმაღლეს სასწავლებელში. ხშირ შემთხვევაში აბიტურიენტი 5-6 წლის განმავლობაში აბარებს უმაღლეს სასწავლებელში მოსახვედრად. ასეთი აბიტურიენტი დიდ ენერგიას ხარჯავს, ყველაზე ნაყოფიერ დროს ნერვიულობაში ატარებს, კარგავს ჯანმრთელობას და უმაღლეს სასწავლებელში მოწყობის შემდეგ მრავალი მათგანი ისეა გამოფიტული და გადაღლილი, რომ სწავლის ხალისი ეკარგება. ვინ იგებს ამით? რა თქმა უნდა არავინ, მთელი საზოგადოება კი რჩება წაგებული.

თუ აღნიშნულს იმასაც დავუმატებთ, რომ სტუდენტები, რომლებიც გაძლიერებულ სტიპენდიებს მიიღებენ, მაგალითად, ფრიადოსნები 150 მანეთს, 5 წლის მანძილზე სტიპენდიის სახით 9000 მანეთს დაიბრუნებენ. გამოდის, რომ თითქმის მთელი სწავლის საფასურს დაიბრუნებენ 5 წლის მანძილზე.

ასეთი ნიჭიერი სტუდენტები გაიგზავნებიან საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც სწავლის საფასური 20.000 დოლარამდეა. ეს მოხდება სახელმწიფოს ხარჯზე. აქ კი სწავლის საფასური, რომელსაც იხდის აბიტურიენტი, სახსენებელიც არ არის იმ თანხასთან შედარებით, რაც მის სწავლაზე დაიხარჯება.

გარკვევით უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ნაწილობრივი ფასიანი სწავლების მოწინააღმდეგენი ანგარიშს არ უწევენ დღევანდელობას, კონკრეტულ ისტორიულ ვითარებას, რამაც გამოიწვია რადიკალური ეკონომიკური გარდაქმნის განხორციელების აუცილებლობა.

წლების მანძილზე დაშვებულმა შეცდომებმა სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობაში მიგვიყვანა ეკონომიკურ კრიზისამდე. სსრ კავშირი თავისი ტერიტორიითა და ბუნებრივი რესურსებით ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანა, მოსახლეობას ვერ აკმაყოფილებს სურსათით. აღნიშნული ფაქტი იმით აიხსნება, როგორც ამას წინათ ცენტრალური პრესა წერდა, რომ „არაფრად ვარგა ჩვენი აღზრდა და სწავლება. ამიტომ არის, რომ ჩვენი უმაღლესი სკოლა მსოფლიოში ყველაზე ცუდ სპეციალისტებს უშვებს“.

მაშასადამე, დღის წესრიგში დგას მაღალგანვითარებული სპეციალისტების მომზადება. უმაღლესი სასწავლებლების მიერ მომზადებული სპეციალისტები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მუშაობენ. მათ კვალიფიკაციასა და მომზადებაზე ბევრად არის დამოკიდებული მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების რადიკალური გარდაქმნა. ამიტომ, ობიექტური აუცილებლობაა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების პროცესის რადიკალური გაუმჯობესება, რაც ლოზუნგებით, მოწოდებებით ვერ განხორციელდება.

უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში მშრომელი მასების რეალური ხელფასი რამდენიმეჯერ შემცირდა, რამაც დიდი დარტყმა მიაყენა მათი ოჯახების ბიუჯეტს. აღნიშნული პერიოდის მანძილზე კი ხალხის მოთხოვნილებანი საგრძნობლად გაიზარდა, რამაც კიდევ უფრო საგრძნობი გახადა მშრომელთა რეალური შემოსავლის შემცირება.

და აი, დღეს მთელი სიმწვავით დაისვა მშრომელთა ხელფასების გადასინჯვის საკითხი.

ვინ უნდა განახორციელოს ხელფასების ნამდვილი და რეალური გადიდება და რის საფუძველზე? ხელფასების რეალური გადიდების ერთადერთი გზაა შრომის ნაყოფიერების, მატერიალური დოვლათის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება.

ყოველივე აღნიშნულის განხორციელებისათვის კი აუცილებელია მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, როგორც ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების მეშვეობით, ასევე პერსპექტიული ახალგაზრდების გაგზავნით საზღვარგარეთის ქვეყნებში მოსამზადებლად. მხოლოდ მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში უნდა ვეძებოთ ჩვენი ხსნა, ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევის გზები. ამის ნათელი დადასტურებაა განვითარებული ქვეყნები, მაგალითად, აშშ, სადაც შრომის მაღალი ნაყოფიერების შედეგად მშრომელებს მაღალი ხელფასები აქვთ შრომის მაღალი ნაყოფიერება კი მიღწეულია მეცნიერების განვითარებით, მათი მაღალი მატერიალური დაინტერესებით.

მშრომელთა დიდი უმეტესობა უკმაყოფილებას გამოთქვამს ნაწილობრივ ფასიან სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, იმ მოტივით, რომ მათ სამი, ოთხი და მეტი შვილი ჰყავთ და როგორ შეძლებენ მათთვის საჭირო ფულის შეგროვებას. აღნიშნულის შესახებ ჩვენს პუბლიკაციაში ვწერთ: „განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეძლევა მრავალშვილიანი მშობლების შვილების უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვას. მესამე და შემდგომი შვილები (ქართველები), უნდა განთავისუფლდნენ სწავლის ქირის გადახდისაგან“. (იხ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1989, 6 ივნისი).

მაშასადამე, მრავალშვილიანი მშობლების მდგომარეობის გათვალისწინება აუცილებელია ქართველი ხალხის დემოგრაფიული სიტუაციის გაჯანსაღებისათვის.

იმავე პუბლიკაციაში ვკითხულობთ: „გარდა ჩვეულებრივი და გაძლიერებული სტიპენდიებისა, საჭირო იქნება ახალგაზრდა ოჯახებისათვის დახმარების აღმოჩენა. დემოგრაფიული სიტუაციის გაჯანსაღებისათვის აუცილებელია მრავალშვილიანი ქართული ოჯახებისათვის სტიპენდიების გადიდება (რეალური შესაძლებლობიდან გამომდინარე).

ვფიქრობთ, მოტანილი ადგილები კომენტარს არ საჭიროებენ.

ნაწილობრივ ფასიან სწავლებაზე გადასვლის მოწინააღმდეგენი რატომღაც ყურადღებას ამახვილებენ მხოლოდ სწავლის საფასურზე და უყურადღებოდ ტოვებენ საკონკურსო ადგილების არსებობას, სადაც მსურველებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საკონკურსო გამოცდებში, სადაც ჩვენი აზრით, გაცილებით უკეთესი პირობები შეექმნებათ გამოცდების ნორმალური ჩატარებისათვის.

მაშასადამე, აბიტურიენტს ექნება უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრის ორი საშუალება. ერთი: ფასიანი (იხდი გარკვეული რაოდენობის თანხას და ხდები სტუდენტი) და მეორე: უფასო (იღებ კონკურსში მონაწილეობას და ამ გზით ხვდები სასურველ სასწავლებელში).

მიღებული კონტინგენტიდან უმაღლესი სკოლა არჩევს საუკეთესოებს და მხოლოდ მათ აძლევს დიპლომს.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ფასიანი და უფასო სწავლება ერთ სექტორში უნდა მიმდინარეობდეს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია სოციალური თვალსაზრისით.

„ახალგაზრდა კომუნისტის“ 1989 წ. 6 ივნისის ფურცლებზე ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ფართოდ უნდა გამოვიყენოთ დაუსწრებელი და საღამოს სწავლების სისტემა ფასიანი სწავლების საფუძველზე. მართალია, დაუსწრებელ განყოფილებაზე სწავლას დიდი ხარვეზები გააჩნია და ზოგიერთები მის სრულ ლიკვიდაციას მოითხოვენ, მაგრამ ნაკლი აქვთ არა მარტო დაუსწრებელ და საღამოს სწავლებას, არამედ მთელი სწავლების სისტემას.

დაუსწრებელ და საღამოს სწავლების განყოფილებაზე სტუდენტებს დიდი დახმარება შეიძლება აღმოუჩინონ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა, რომლებიც დაინახავენ თავიანთი მუშაკის კეთილსინდისიერ შრომას. რაში შეიძლება გამოიხატოს ეს დახმარება: მათ შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გადაუხადონ სწავლის საფასური, ან მისცენ გრძელვადიანი სესხი სწავლის საფასურის დასაფარავად და ასე შემდეგ.

იმავე გაზეთში ჩვენ ვწერდით, რომ ინგლისში, ავსტრალიაში, აშშ-ში, საფრანგეთში სტუდენტებისათვის დახმარების ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა სტიპენდიები, იაპონიაში, შვეციაში, ნორვეგიაში — სესხები, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში მთლიანად უბრუნდება გამსესხებლებს. **გამონაკლისს შეადგენს მაღალი აკადემიური შესაძლებლობის სტუდენტები** (იხ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1989, 6 ივნისი).

**ასევე უნდა იყოს ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში.**

გაკვირვებას იწვევს აგრეთვე ის ფაქტი, რომ არცერთ მშობელსა და აბიტურიენტს, რომელიც ეწინააღმდეგება ნაწილობრივ ფასიან სწავლებაზე გადასვლას, ყურადღება არ მიუქცევია დაუსწრებელ და საღამოს სწავლებაზე ჩვენს მიერ დასახელებული სწავლის საფასურზე.

მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც რეალურად ითვალისწინებს მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებულ ნერვიულობასა და დროის დაკარგვას, უპირატესობას აძლევს ნაწილობრივ ფასიან სწავლებაზე გადასვლას. ის მშობლები კი, რომელნიც წინააღმდეგნი არიან ფასიანი სწავლებისა, კრინტსაც არ ძრავენ იმის შესახებ, რომ მათმა შვილებმა თავი გამოიჩინონ შრომაში, დახმარება აღმოუჩინონ მშობლებს და თვითონაც მონაწილეობა მიიღონ სწავლის საფასურის გადებაში. დღეს დიდი შესაძლებლობა არსებობს, განსაკუთრებით სოფლად, სოლიდური თანხის გამომუშავებისათვის შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების დანერგვის საფუძველზე.

ერთ ფრიად მნიშვნელოვან ფაქტორსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება: საჭირო იქნება მოვიფიქროთ გადასაყვანი გამოცდების რადიკალური გაუმჯობესების სისტემა, რომელიც გამორიცხავს ნეგატიურ მოვლენებს უმაღლეს სასწავლებელში.

ერთი სიტყვით, ფასიან სწავლებაზე გადასვლა მისაღები გამოცდების გაუქმების ხარჯზე უნდა განხორციელდეს, ამას ის დადებითი მომენტიც ახლავს, რომ უმაღლესი სკოლის პედაგოგები ახლა მთელ ენერგიას რეპეტიტორობას რომ ახმარენ, მაშინ სტუდენტების სწავლას მოახმარენ, თანაც სამეცნიერო მოღვაწეობისთვისაც მეტი დრო დარჩებათ.

(დასასრული მე-6 გვ.).

## ალტერნატიული ფურცელი

**საქართველოს** ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში დადგა ეტაპი, როდესაც უნდა მოხდეს შეურიგებელი, რადიკალური და დემოკრატიული ოპოზიციის ძალთა სრული კონსოლიდაცია ერის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მოვლენაა ა. წ. 13-15 მარტის ეროვნული მოძრაობის საგანგებო კონფერენცია, რომელმაც აირჩია ეროვნული ფორუმი. ეროვნული ფორუმი არის დროებითი ორგანო, რომელმაც უნდა იტვირთოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელობა და კოორდინაცია და მოამზადოს საყოველთაო, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით ეროვნული კონგრესის არჩევა, რომელიც იქნება გამომხატველი ქართველი ერის, საქართველოს კანონიერი მოსახლეობის ინტერესებისა. კონგრესი უნდა განისაზღვროს, როგორც სამართლებრივი სუბიექტი, რომელიც აღჭურველი იქნება ხალხის ნდობის მანდატით, რათა აწარმოოს მოლაპარაკება საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის შესახებ ნებისმიერ დონეზე, ვინაიდან არსებული საოკუპაციო ხელისუფლება და მისი ბუტაფორული, არადემოკრატიული გზით „არჩეული“ ე. წ. უზენაესი საბჭო, არ არის და ვერც იქნება გამომხატველი ქართველი ერის

12 მარტს საქართველო ძალით იქნა შეყვანილი, ხოლო ამის შემდეგ ქართველი ერის ნება-სურვილის გაუთვალისწინებლად, ყოველგვარი რეფერენდუმისა თუ პლებისციტის გარეშე, არადემოკრატიული გზით შექმნილი მარიონეტული საოკუპაციო ხელისუფლების ინიციატივით თვით ამიერკავკასიის ფედერაცია შეყვანილ იქნა ე. წ. სსრ კავშირის შემადგენლობაში და მასთან დაიდო 1922 წლის დეკემბრის სამოკავშირეო ხელშეკრულება. დღეს აღარ არსებობს ე. წ. ამიერკავკასიის ფედერაცია, მასთან დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულებაც ბათილია და აღარ არის ძალაში. მით უმეტეს ვერ იქნება იგი ძალაში თვით ე. წ. საქართველოს სსრ-სთან, რომელიც ცალკე ერთეულად თავდაპირველად არ ყოფილა სსრ კავშირში, პირველად შეიქმნა და გამოეყო ამიერკავკასიის ფედერაციას 1936 წლის 5 დეკემბერს და შეყვანილ იქნა ე. წ. სსრ კავშირში ყოველგვარი ხელშეკრულების გარეშე. მხოლოდ 1936 წლის კონსტიტუციამ აღიარა იგი სსრკ-ს წევრად და მისცა მას კავშირიდან გასვლის ფორმალური და ნომინალური უფლება.

...

# საქართველოს ეროვნული ფორუმის მიმართვა ქართველი ერისადმი და მსოფლიო საზოგადოებისადმი

ნება-სურვილისა და ვერ ილაპარაკებს მისი სახელით.

როგორც ცნობილია, შეურიგებელი და დემოკრატიული ოპოზიციის მიერ გამოცხადებული ბოიკოტის შედეგად, გადაიდო არჩევნები ე. წ. საქართველოს სსრ უზენაესი საბ-

...

„ქმნა მართლისა, სამართლისა“ — დრო მოვიდა. ისტორიისა და კულტურის ძეგლთა სატკივარიც ბოლომდე უნდა ითქვას. ყველამ როდი იცის, რომ დღეს განსაკუთრებით უჭირთ ქვემო ქართლის, სამაჩაბლოსა და ჯავახეთის მრავალჭირგამოვლილ, ცეცხლითა და მახვილით მრავალგზის ნატანჯ ქართული კულტურის ძეგლებს. ამშენებელი ხალხის თბილ ხელს მოკლებულს უჭირს წუღრუღაშენის, იკორთის, ფიტარეთის, ტოფის, ჰუჯაბის, სამღერეთის, ოფრეთის, ხოყორნის, კუხირეთის, ლამაზი საყდრის, გაგის, ციანეთის, აკვანების, სამშვილდის, ხოფას ტაძრებს, მონასტრებსა და ციხე-ქალაქებს...

## ჩვენი საჭირისუფლო

# ყველას, ყველას, ყველას!

რაც თამარის შემდგომი ექვსი საუკუნის მანძილზე მტრად მოსული მტრის სისხლიან ხელს გადაურჩა, მე-19 საუკუნის დასაწყისიდან სოყვრულად მოსული მასპინძლადქცეული სტუმრის ხელით დაიქცა.

შემდეგ კი — განუკითხაობა. მტერზე უარესი რკინის კომისრებმა დაგვმართეს: ერთის ხელისმოსმით გაასაჩუქრეს ქართული მიწები, დარჩენილზე კი უფროსი ძმის წაბაძვით ფედერაცია შექმნეს ერთი „უმნიშვნელო“ განსხვავებით — იქ თუ თავის მიწებიანად შევიდნენ სხვა ერები ფედერაციაში, ჩვენთან

ლით ნაგები ხსოვნის ძეგლები დავუდგათ.

ჩვენ ტანჯულ მიწაზე დავითის მართვემ გუგულს აღარ უნდა დაუთმოს საბუდარი.

ქართული კულტურის თითოეულ ძეგლს კონკრეტული პატრონი უნდა მივუჩინოთ.

ცრემლითა და სისხლით გავლიეთ 1989 წელი. კატკოვის ჯურის ნაძირალები არ გვაკლდნენ; იყო 9 აპრილი და აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტრაგედიები. მთელი სისასტიკით განვიცადეთ ძმათა უმადურობა და მეგობართა ღალატი. ძნელბედობის ჟამს ხალხმა

მო ქართლის თითქმის ყველა ძეგლზე, მოვიგონოთ: როგორ დამალეს ორბელიანთა დიდი სასახლე ტანძიაში და იქვე სოფელში ბოსლები ააშენეს, როგორ აწაშეს სამშვილდე, კუმურდო, ჰუჯაბი, რადგანაც მათზე ქართული წარწერებია; როგორ დასთხარეს თვალები ფრესკებს; რაღა შორს წავიდეთ, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი ილიას „ქვათა ღაღადს“ და ნულარავის ვედავებით — ჩხუბის მერე გვიანია მუშტების ქნევა. უფრო მეტად ჩვენი ბრალია, რომ ვერ მოვუარეთ ჩვენ სალოცავებს, ჩვენ საგანძურებს და უპატრონო ეკლე-

სი ძეგლები, რომლებითაც ასე მდიდარია ჩვენი ქვეყანა, მრავლადაა გაფანტული ოდითგან ქართულ მიწებზე (რომელთაგან მნიშვნელოვანი ნაწილი დღევანდელი საქართველოს მიღმაა). ძეგლები ძირითადად განლაგებულია ძნელად მისადგომ ადგილებში. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ქვემო ქართლსა და სამხრეთ საქართველოში.

გათვალისწინებულ იქნა რა, რომ ამ რეგიონშია ქართული კულტურის უძველესი და უმნიშვნელოვანესი ძეგლები, რომლებიც სასწრაფო შველას თხოულობს,

სპორტს, სარესტავრაციო გაერთიანების შესაძლებლობები მკვეთრად გაიზრდება და რესტავრატორებს საშუალება ექნებათ ბევრად მეტი ძეგლი აღადგინონ.

დროულად რომ აღვადგინა იავარქმნილი ძეგლები ქვემო ქართლში, სამაჩაბლოსა და სამხრეთ საქართველოში, მოგვიანებით ამ კუთხეებში ჩამოსახლებული არაქართული მოსახლეობა ვერ დაიჩემებდა თუ ვის მიწაზე ცხოვრობს (ჩვენ ღმერთმა დაგვიფაროს მსგავსისაგან და საუკუნეების წინათ გაშენებული ხალხის მიწაზე დაარსებულ სახელმწიფოს, იმ უძველესი

...

**უსამართლო** სახელმწიფოში სამართლიან ადამიანს სულიერი, პოლიტიკური, ეკონომიკური და ა. შ. შიმშილის უფლების კვალდაკვალ ერთი „უფლებაც“ შერჩა — უფლება შიმშილობისა!

10 დღეა რაც შიმშილობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის რექტორი ბატონი ფელიქს ტყებუჩავა.

ორ კითხვას ვუსვამ საქართველოს ხელისუფლებას:

1. თუკი რექტორი უსამართლოდ შიმშილობს, მაშინ დღიდან შიმშილის გამოცხადებისა, 26 მარტიდან, რატომ რჩება იგი რექტორად?

2. თუკი რექტორი სამართლიანად შიმშილობს, მაშინ სათანადო ინსტანციებმა ახლავე არ უნდა აგონ პასუხი?

ჯერჯერობით, არც პირველ და არც მეორე კითხვას პასუხი არ გასცემია.

...

# წერილი „ახალგაზრდა ივერიელს“

წლისათვის მოახლოება ქმნის მდგომარეობის დაძაბვის საშიშროებას. ამან აიძულა რექტორი მიემართა პროტესტის ამ უკიდურესი ფორმისათვის. იგი თავის მოქალაქეობრივ მოვალეობად თვლის ამით საფრთხე ააცილოს ახალგაზრდობას.

თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლებს ესმის ის სიძნელეები, რომლის წინაშეც აღმოჩნდა საქართველოს ხელისუფლება ერის განვითარე-

სილაღე დაგბედებოდეთ, არასოდეს დაღლილიყოთ სამშობლოსა და სიმართლის სამსახურში.

გვინდა გაგიზიაროთ ჩვენი მოსაზრება ერთი საკითხის შესახებ:

ინვალიდთა ასოციაციის გურიის რეგიონალური ორგანიზაციის საბჭოს მიაჩნია, რომ ადრე არსებული ე. წ. „კომუნისტური შაბათობის“ ნაცვლად, ქველმოქმედების მიზნით, აპრილის თვის პირველ შაბათს ეწოდოს „ღვთისშვილთა დღე“, ამ დღეს ნებაყოფლო-

...

რთული, რომ მას ქართველი კაცის ნიჭის გვირგვინი — ქართული კულტურის ძეგლები ამშვენებენ.

წინაპართა სულებს სიყვარუ-

გონად ქცეული საოცარი „დავითგარეჯა“ ჩვენ თვალწინ ინგრეოდა, რომ ტყვიით სროლაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს „ვაჟკაცები“ ქვე-

ხსაზღვრავს თუ ვინ, რომელმა ორგანიზაციამ რომელ ძეგლზე აიღოს შეფობა.

ქართული კულტურის უძველე-

...

## პოლემიკა

# ალავერდის ტაძრის რესტავრაციის გამო

**ალავერდის** საეპისკოპოსო ტაძარი წარმოადგენს არა მარტო კახეთის ხუროთმოძღვრების ყველაზე ღირსშესანიშნავ ძეგლს, არამედ მთელი საქართველოს ერთ-ერთი უდიდეს და უბრწყინვალეს ძეგლსაც. საქართველოს ეს უდიდესი ტაძარი (მისი ზომებია: 41,7X26,4 მ., სიმაღლე — 56 მ.) აღმართულია შეუდარებელ ალაზნის ველზე, ავსებს, აგვირგვინებს მას და ქმნის დიდებულ სურათს. წარმოიდგინეთ რაოდენ ძლიერი იქნებოდა ეს შთაბეჭდილება მაშინ, როდესაც ტაძარი იდგა თავისი პირვანდელი სახით, როგორც იგი ხუროთმოძღვარმა ჩაიფიქრა.

ძველად, აქ უდაბურ ტყეში მდგარა წარმართული სამლოცველო, სადაც ერთ-ერთმა „სირიულ მამათაგან“ — იოსებ ალავერდელმა აღაშენა „ალავერდი რომლისაგან გამოვლენ დიდნი საკვირველებანი“. XI საუკუნის პირველ

ბა გარე მასებში. ფასადები შემოსილ იყო შირიმის თლილი ფილებით. კახეთის ხუროთმოძღვრების ტრადიციის მიხედვით, აქაც უარყოფილია ტაძრის ჩუქურთმებით დეკორირება და კედლის დიდი სიბრტყეები გაცოცხლებულია მხოლოდ სვეტების კონებითა და გაბმული თაღებით.

დღეს ტაძარი დგას მტკიცედ და მას არავითარი საფრთხე არ ელის.

ჩქარება დაუშვებელია. გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტი“ 17 თებერვალს გამოქვეყნებულ მიმართვაში ახმეტის რაიონის ახალგაზრდობა აღნიშნავს, რომ ძეგლის რესტავრაცია უკვე 4 წელიწადია მიმდინარეობს. სინამდვილეში ტაძრის რესტავრაცია არსებითად არ დაწყებულა, ვინაიდან ჯერ არაა მზად ტაძრის რესტავრაციის პროექტი, რომლის შესადგენად ავ-

...

ვართ ქვა საჩხერის რაიონიდან ჩამოვიტანოთ. ეს განვუცხადეთ ახმეტის რაიონის მესვეურებს, რაც

ვარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსი, პროფესორი.

...

## საქართველო საზღვაო სახელმწიფოა

# დიდი სიმდიდრე

რე აზიასა და მახლობელ აღმოსავლეთში წყდებოდა და საქართველოს ზღვის გადაღმა მნიშვნელოვანი მეზობელი და პარტნიორი არ ჰყავდა. ახალ პერიოდში, როცა

ფლოტის შექმნისათვის (მან ჩრდილოეთი შავიზღვისპირეთიც კი ვერ აითვისა ჯეროვნად, რასაც ყირიმის ომის შედეგებიც მოწმობს).

მთელი ამ ხნის განმავლობაში

...

# გიორგი წერეთელი: ქართველი ახალგაზრდობა მომავლის გარანტიაა!



**არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ მრავალ თაობას, მრავალი ათწლეულის მანძილზე არა თუ სასტიკად ეკრძალებოდა უცხოეთიდან შემოტანილი ემიგრანტული ლიტერატურის კითხვა და გავრცელება, არამედ სხვადასხვა ზომის სასჯელიც ემუქრებოდათ და ხშირად საზოგადოებისაგან ციმბირში იზოლირებაც კი. ღვთის მადლით, დროც შეიცვალა და ამგვარი მოვლენებისადმი დამოკიდებულებაც. მკითხველი შეამჩნევდა, ალბათ, „ახალგაზრდა ივერიელის“ პირველი ნომრის (20. 03. 90) მეორე გვერდზე მილოცვებს შორის მიმართვას ქართველი ახალგაზრდობისადმი იგი ხელნაწერის სახით თვით ჟურნალ „გუშაგის“ რედაქტორმა და გამომცემელმა ბატონმა გიორგი წერეთელმა გამომატანა პარიზიდან. დღეს კი გთავაზობთ მასთან ინტერვიუს, რომელიც პარიზში, ბინაში ჩავიწერე.**

**— ბატონო გიორგი! ემიგრაციის ისტორიაში გარკვეული წვლილი მიუძღვის საფრანგეთში ქართულ ენაზე გამოცემულ პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ პერიოდიკას, ამ მხრივ საინტერესო იქნება ქართველი ახალგაზრდობისათვის თვით ჟურნალ „გუშაგის“ ისტორია.**

— „გუშაგის“ ისტორია „თავისუფლების ტრიბუნის“ ისტორიით უნდა დავიწყო და აი, რატომ. 70-იან წლებში მე საბოლოოდ მივედი იმ დასკვნამდე, რომ პოლიტიკური ემიგრაცია დაშლილი იყო. ეს ორი პოლიტიკური დაჯგუფება — ეროვნული საბჭო და პოლიტიკური ცენტრი მოღვაწეობდა. მე გახლდით ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. ორივე დაჯგუფების გაერთიანებისათვის გამოვედი აღმასრულებელი კომიტეტიდან. რამოდენიმე კაცმა, იმ დროინდელ ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარემ ლევან ზურაბიშვილი, მიშა გრიგოლიამ და მე, გადავწყვიტეთ დაგვეარსებინა ბეჭდვითი ორგანო, რომელიც შეავსებდა არსებულ ბეჭდვით ორგანოებს და ამავე დროს, ერთგვარ შემარიგებელ როლს ითამაშებდა ამ ორ დაჯგუფებას შორის, რადგან ურთიერთთავდასხმა არ ყოფილიყო და ნელ-ნელა დაგვეხლოებინა ერთმანეთისთვის ეს ორგანიზაციები, რომლებიც ფაქტობრივად ერთი და იგივე მიზნისათვის — საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ. ამისათვის მოვიწვიეთ კრება და მოვიპატიჟეთ ყველა არსებული პარტიული თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი, სხვათაშორის, კრებას თავმჯდომარეობდა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის წევრი, აწ განსვენებული ბატონი ნოე ცინცაძე. იგი ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე გახლდათ იმ პერიოდში. კრებამ, რომელიც სოფელ ლევილში, ქართულ მამულში ჩატარდა, დაადგინა, რომ მართლაც საჭირო იყო ასეთი ორგანოს დაარსება და მისი რედაქტორობა მე მომანდო. სარედაქციო კოლეგიაში შემოვიდნენ ლევან ზურაბიშვილი და მიშა გრიგოლია. სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ 4 ნომრის გამოცემის შემდეგ გარდაიცვალა მიშა გრიგოლია, ერთი წლის თავზე კი ლევან ზურაბიშვილი და რედაქციაში მარტო დავრჩი. მათი გარდაცვალების შემდეგ სამუშაოდ მოვიწვიე მიხეილ ქავთარაძე, ამჟამად ჟურნალ „ივერიის“ რედაქტორი, გიორგი ნოზაძე. ორივემ თანხმობა განაცხადა და განახლებული სარედაქციო კოლეგიით შევუდექით საქმიანობას. მე დამავიწყდა მეთქვა ჟურნალის დანიშნულების, მისი ძირითადი თემის შესახებ — ეს გახლდათ უპირველეს ყოვლისა საქართველოს დამოუკიდებლობა, ქართული ემიგრაციული წრეების გაერთიანება საქართველოს დამოუკიდებლობის სასარგებლოდ.

1977 წელს მოხუცებულობის გამო რედაქციიდან წავიდა გიორგი ნოზაძე, ხოლო მიხეილ ქავთარაძემ გადაწყვიტა განეახლებინა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანო „ივერია“. დავრჩი ისევ მარტო და 1984 წლამდე სარედაქციო კოლეგია აღარ შემიქმნია. 1974 წელს გამოვიდა „თავისუფლების ტრიბუნის“ პირველი ნომერი, ხოლო 1984 წლის იანვარს ამ სათაურით მისი ბოლო 42-ე ნომერი. მას შემდეგ ჟურნალის სტილში ფუნდამენტალურად არაფერი არ შეცვლილა, გამოიცვალა მხოლოდ ფორმატი და სახელწოდება — „გუშაგი“. რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ ერის გუშაგს. 1984 წლიდან გამოიცა „გუშაგის“ 20 ნომერი, ეხლა ვმუშაობ 21-ზე.

**— რა პერიოდულობით გამოდის ჟურნალი?**

— თავიდან განზრახული გვქონდა, რომ „გუშაგი“ ყოველთვიური ყოფილიყო. მაგრამ შემდეგ შევატყვე, რომ ამას მარტო ვერ მოვერეოდი და ეხლა ყოველ სამ თვეში ერთხელ გამოდის. დაარსების დღიდან ჟურნალი მხოლოდ და მხოლოდ შემოწირულობით არსებობს. ტირაჟი უმთავრესად შეკვეთების მიხედვით განისაზღვრება. თავიდან ათასი ცალი გამოიცა, შემდეგ კი შემცირდა.

**— ჟურნალის პოლიტიკურ-სოციალური როლი თუ შეესატყვისება დღევანდელ სიტუაციას საქართველოში. ვგულისხმობ საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას.**

— მე ვუგზავნი ჩემს ჟურნალს მთელს მსოფლიოში გაფანტულ ქართველებს. ვცდილობთ, რომ ჟურნალი იყოს ობიექტური. ასევე ვცდილობთ მივაქციოთ უმთავრესი ყურადღება საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის მრავალ ასპექტს, ამიტომაც „თავისუფლების ტრიბუნაშიც“ და „გუშაგშიც“ მასალები შერეული იყო და არის ისე, რომ ის ასახავდეს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში. ჩვენი სამშობლოს, საქართველოს მოვლენები მსოფლიოს მოვლენებშია ჩახლართული. ჟურნალში იბეჭდება ასევე ხალხთა თავისუფლებისაკენ სწრაფვის ამსახველი მასალებიც, დიდი ადგილი ეთმობა ასევე თეორიულ საკითხებსაც, რომლებიც წარმოადგენენ ჟურნალის პუბლიცისტიკის ძირითად ღერძს.

**— თუ გაქვთ სურვილი, რომ ჟურნალში ითანამშრომლონ საქართველოს ჟურნალისტებმა და პუბლიცისტებმა?**

— ეს ძალზე კარგი იქნება. თუმცა, ასეთი პრაქტიკა უკვე გვაქვს და ჩვენ ხშირად ვბეჭდავთ კიდეც საქართველოდან გამოგზავნილ მასალებსაც. მაგალითისათვის გეტყვით, რომ შემდეგი ნომრისათვის ბატონ ნოდარ ნათაძის წერილი მაქვს მომზადებული დასაბეჭდად. სხვათაშორის, დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე მწერლისა და პუბლიცისტის ამირან კალაძის წინასაარჩევნო წერილებმა. ბევრი ნიჭიერი მწერალი, პოლიტიკური მოღვაწე და ჟურნალისტია დღეს საქართველოში, რომელთა წერილები ძალზე საინტერესო იქნება მკითხველისათვის. ჩემი პოლიტიკური პოზიცია, უმთავრესად, ამ 15 წლის წინ დაწყებული საქართველოს კეთილდღეობის საქმის თავკაცებს უკავშირდება — ესენი გახლავთ ბატონი ზვიად გამსახურდია და აწ განსვენებული ქართველი გმირი მერაბ კოსტავა. მოხარული ვიქნები, თუ ეროვნული ხსნის კომიტეტში მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა მოიყრის თავს, რადგან განთავისუფლება საქართველოს უპირველესი ამოცანაა. ამ ამოცანის ხორცშესხმას კი დიდი ნიჭი სჭირდება. მოდით, ისევ ჟურნალს დავუბრუნდეთ — ადრე ხშირად ვუგზავნიდი ჩემს ჟურნალს საქართველოში სხვადასხვა პიროვნებებს, მაგრამ სამწუხაროდ მათგან არავითარი გამოძახილი არ ყოფილა. ალბათ არც მიდის ადრესატამდე.

**— თუ არიან გაერთიანებულნი საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ჟურნალისტები და მწერლები?**

— ჩვენთან შეიქმნა მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირი. უფრო სწორად, აღვადგინეთ ადრე არსებული საზოგადოება. იგი ჯერ კიდევ 1926 წელს დააარსეს ჩვენმა გამოჩენილმა მწერლებმა და ჟურნალისტებმა. ახლად აღდგენილი საზოგადოების თავმჯდომარედ მე, თქვენი მონა-მორჩილი ამირჩიეს. ჩემი თანაშემწე ბატონი ლევან ფალავა გახლავთ. ამ საზოგადოებაში ასევე შედიან „ივერიის“, „ჩვენი დროშის“ და „გუშაგის“ რედაქციები. ჯერ-ჯერობით არ თანამშრომლობს ჩვენთან „მებრძოლი საქართველოს“ რედაქცია, მაგრამ უახლოეს ხანში ისიც ჩვენი საზოგადოების წევრი გახდება. გვსურს ჩავატაროთ აკაკი წერეთლის იუბილე და გავუგზავნეთ მოწვევა საქართველოს მწერალთა კავშირს, პირადად ბატონ მუხრან მაჭავარიანს. აქვე მინდა სიხარულით აღვნიშნო საქართველოს მწერალთა კავშირის გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლის შესახებ. მივესალმები მათ მთელი ჩვენი მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირის სახელით.

**— რას უსურვებდით ქართველ ახალგაზრდობას?**

— მე აღფრთოვანებული ვარ ქართველი ახალგაზრდობით, განსაკუთრებით 1988 წლის ნოემბრიდან მოყოლებული. ძალიან გააქტიურდა უნივერსიტეტის ახალგაზრდობა, რაც დიდად სასიამოვნოა ჩემთვის. და მთელი ეს ახალგაზრდული მოძრაობა მე გარანტიად მიმაჩნია იმისა, რომ საქართველო არ დაიღუპება, რომ საქართველოს აქვს ნათელი მომავალი.

**სურათზე: ბატონი გიორგი თბილისელ სტუმრებთან (დგანან) და ქალბატონ ეთერ წერეთელთან (მარჯვნივ) ერთად. სხვათაშორის ქალბატონი ეთერი ერთადერთი ქართველია, რომელიც საფრანგეთის უმაღლესი ჯილდოს — საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერია. მის შესახებ გაზეთმა „სამშობლომ“ უკვე ამცნო მკითხველს.**

**ესაუბრა თამაზ ხუბაძე**
**ავტორის ფოტო.**
**პარიზი. 13. 03. 90.**

# მართლწესრიგის აღსადგენად

ჭიათურაში, ნაგუთის დასახლებაში, საპატრულო-საგუშაგო სამსახურში მყოფ შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების თანამშრომელთა და ადგილობრივი ახალგაზრდების ერთ ჯგუფს შორის შექმნილი კონფლიქტური სიტუაცია ტრაგიკული შედეგებით დამთავრდა. მილიციის მუშაკმა ცეცხლსასროლი ტაბელური იარაღით მძიმედ დაჭრა მოქალაქე დ. გოცაძე, რომელიც საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. ამ ამბით შეძრწუნებული მოქალაქენი იმავე ღამეს, 25 მარტს და მომდევნო დღესაც შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების შენობის წინ შეიკრიბნენ, შეიჭრნენ შენობაში, დაარბიეს ის, დაამტვრიეს მილიციის არასაუწყებო დანაყოფის შენობის კარი, ფანჯრები, შინაგან საქმეთა თანამშრომლების და მოქალაქეთა საკუთრებაში არსებული კერძო ავტომობილები.

ჭიათურაში სიტუაცია ძლიერ დაიძაბა. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის შოთა გორგოძის და რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების განკარგულებით, შემთხვევის ადგილზე ორგანიზებულად იქნა მიყვანილი მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის 250 მსმენელი და უფროს ოფიცერთა შემადგენლობა ფაკულტეტის უფროსის ხელმძღვანელობით. ამასთანავე, დაძაბულობის შესანელებლად ადგილზე მოხმობილნი არიან ჭიათურის მეზობელი ქალაქებიდან და რაიონებში მყოფი ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის მსმენელები, რომლებიც პრაქტიკულ მეცადინეობას გადიან შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონულ დანაყოფებში. შემოღებულია ოპერატიული განწესებისა და მორიგეობის ახალი სისტემა, ნორმალურ კალაპოტში ჩადგა საქალაქო ტრანსპორტი, შეუფერხებლად მუშაობს სასურსათო, სამრეწველო და საზოგადოებრივი კვების ობიექტები, ფაკულტეტის მთელი პირადი შემადგენლობა ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოების, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობით, ქალაქის მოსახლეობის აქტიური დახმარებით, დღედაღამ ახორციელებს საჭირო ოპერატიულ გამაფრთხილებელ ღონისძიებებს კონფლიქტური სიტუაციის აცილებისა და ამ დიდი ტრადიციების მქონე სამრეწველო ქალაქში ნორმალური საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად.

31 მარტისთვის ქალაქ ჭიათურაში დაძაბულობა შენელდა, მდგომარეობა თანდათანობით სტაბილური ხდება. რესპუბლიკის პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების მხრივ ტარდება ღონისძიებანი მომხდარი შემთხვევის საქმის დროულად და მაღალკვალიფიციურად გამოძიებისათვის.

**გივი კვანტალიანი,**
**საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის სკოლის უფროსის მოადგილე.**

**რედაქციისაგან: ჭიათურაში დატრიალებულ ტრაგედიას (ნუ მოვერიდებით ამ სიტყვას) დიდი რეზონანსი მოჰყვა. მკითხველს არასწორი ინფორმაცია რომ არ მივაწოდოთ, ჩვენ თავს ვიკავებთ ფაქტების ანალიზისა და, მითუმეტეს, შეფასებისაგან, მაგრამ იმედი გვაქვს, სათანადო ორგანოები ობიექტურად და მიუკერძოებლად გამოიკვლევენ მომხდარს და ყველას კუთვნილს მიაგებენ.**

# დიდხანს დაამახსოვრდებათ

თბილისის 61-ე საშუალო სკოლის ლიტერატურულ-შემოქმედებითი წრის წევრებმა გადავწყვიტეთ სტუმრად მოგვეწვია პოეტი ქალი თინათინ მღვდლიაშვილი. შინაურული, თავისთავადი და ბუნებრივი ატმოსფეროს შესაქმნელად კაფეს სტილი ავირჩიეთ. სკოლის კლუბში გამოფენაც მოვაწყვეთ. ქალი თინათინი თვითნასწავლი მხატვარიც გახლავთ... შეხვედრის ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „და ჩემს სიცოცხლეს სიყვარული ჰქვია სახელად“ გააკეთა ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა ლუიზა აფხაზავამ, „თითოეულ სიტყვას აქვს თავისი ფერი. როცა ვწერ, ასე მგონია, ვხატავ... ლექსი სულიერი არსებაა. ისიც იბადება, ცხოვრობს“, თქვა ქალბატონმა თინათინმა.

ეს შეხვედრა დიდხანს დაამახსოვრდებათ მოსწავლეებს.

**ქეთევან ხატიაშვილი,**
**თბილისის 61-ე საშუალო სკოლის მოსწავლე.**

# მაღალკვალიფიციური კადრების მოსამზადებლად

**(დასასრული)**

უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგებისადმი უსულგულო დამოკიდებულებამ მკვეთრად გააუარესა მათი მატერიალური მდგომარეობა და პრესტიჟი. ისინი იძულებულნი გახდნენ ხელი მოეკიდათ რეპეტიტორობისათვის, რაც უაღრესად მძიმე და მტანჯველი შრომაა. მათი ამ მძიმე და სანერვიულო შრომისაგან განთავისუფლება ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის აუცილებელი გარანტიაა. მათი ინტელექტუალური ძალების სტუდენტობისათვის გამოყენება კი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების პირობაა. ამიტომ ყველა ღონისძიება უნდა ვიხმაროთ რეპეტიტორების უმაღლეს სასწავლებლებში რაციონალური გამოყენებისათვის.

ომისშემდგომ პერიოდში სწავლების ხარისხის დონე, განსაკუთრებით 50-იანი წლების დასაწყისიდან, მაღალი იყო. ავიყვანოთ პროფესორ-მასწავლებელთა რეალური ხელფასი და სწავლების ხარისხი იმ დონემდე და ჩვენ მრავალ ტალანტს აღმოვაჩენთ, ვინც უნდა მართოს ქვეყანა და ვინც ხელს შეუწყობს ჩვენი ეკონომიკის მეცნიერულ საფუძველზე განვითარებას, ხელფასების გადიდებას და საერთოდ ჩვენი ქვეყნის წინსვლას.

განა დიპლომად ჩაითვლება ის დიპლომი, რომელიც მის მფლობელს 120-160 მანეთს აძლევს და ისევ მშობლების შესანახი არიან?

მოვიშველიებ ამერიკელი ეკონომისტის, ს. გორსმანის მაგალითს, რომელიც ბაზრის თეორიის საკითხებზე მუშაობს და რომელსაც უარტონის ბიზნესის სკოლის დეკანმა ხელფასის სახით წელიწადში 250.000 დოლარი, ე. ი. თვეში 20.000 დოლარზე მეტი შესთავაზა. ეს ხომ ჩვენ ფულზე გადაყვანით 100.000 მანეთზე მეტია. აი, ის პედაგოგები, ვინც მაღალკვალიფიციურ სტუდენტობასა და მეცნიერებს ამზადებენ და განაპირობებენ აშშ ეკონომიკის და მშრომელი მასების საშუალო ხელფასის მაღალ დონეს. (იხ. „კომუნისტი“, 1989, 13 დეკემბერი).

თუ ჩვენ ნამდვილად გვინდა ქვეყნის ეკონომიკის რადიკალური გარდაქმნა, საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიკური, კულტურული ურთიერთობების მაღალ დონეზე განვითარება, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისათვის, როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე საზღვარგარეთის უმაღლესი სასწავლებლების მეშვეობით.

**ელგუჯა ჩადუნელი,**
**თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტის დოცენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.**

**გთხოვთ, ჰონორარი გადარიცხოთ მერაბ კოსტავას ფონდში.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ახლახან მესტიაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სვანეთის არქეოლოგიურ ბაზას ეწვია ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი მარინა თეძთუმანიძე და ესაუბრა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს შოთა ჩართოლანს — სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელს.**

# სვანეთი — ძველი, სვანეთი — ახალი



**— ბატონო შოთა, ჩვენი პრესა, რადიო და ტელევიზია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციების მონაპოვრებს ფართოდ წარმოაჩენს ხოლმე. სვანეთი კი რატომღაც ჩრდილშია. ამიტომ იქნებ გვიამბოთ თქვენი კოლექტივის მუშაობის შესახებ?**

— სწორად შეგინიშნავთ. დიდხანს სვანეთი საქართველოს არქეოლოგიურ რუკაზე „თეთრ ლაქას" წარმოადგენდა. ხანგრძლივი დროის არქეოლოგიური დაზვერვის შემდეგ, 1984 წლიდან, დაიწყო სისტემატური გათხრები. ამჟამად მიკვლეულია ასამდე არქეოლოგიური ძეგლი და აღმოჩენილია ათასობით არქეოლოგიური ექსპონატი, რომლებიც ადამიანთა საზოგადოების სხვადასხვა ისტორიულ ეპოქას განეკუთვნებიან, დაწყებული ქვის ხანიდან და დამთავრებული შუა საუკუნეებით. ახლა მიმდინარეობს ამ ექსპონატების მეცნიერულ-თეორიული ანალიზი.

**— სვანეთის მკაცრი კლიმატი, ალბათ, სიძნელეებს გიქმნით?**

— რა თქმა უნდა. ალბათ, ამის გამოცაა, რომ ჩვენს ექსპედიციაში ვერ მოვიზიდეთ კვალიფიციური სპეციალისტები. განვიცდით მუშახელის ნაკლებობასაც. პრობლემები უამრავი გვაქვს, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რამდენი წვალება დაგვჭირდა, რომ დამონტაჟებული იყო ეს სტანდარტული ტიპის სახლები, სადაც ჩვენს მიერ მოპოვებული არქეოლოგიური მასალების კამერალურ დამუშავებას შევძლებდით. თუმცა ბაზას არ აქვს წყალი და გათბობა. მასობრივ მიტინგებზე, რომლებზეც ეროვნულ-პატრიოტული საკითხები იხილება, ხშირად საუბრობენ სვანეთის პრობლემებზე და სამართლიანადაც, მაგრამ სიტყვას თუ საქმეც არ მივაყოლეთ, ისე ვერაფერს მივაღწევთ. აი, ჩვენ ძალიან გვჭირდება სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, აქ უამრავი საქმეა, რომელსაც ექსპედიციის რამდენიმე წევრი ძლივს ავუდივართ, არადა, ვაკანტური ადგილები გვაქვს. ჩვენი ახალგაზრდობის გასაგონად მინდა ვთქვა — მარტო მიტინგებზე და დემონსტრაციებზე ძახილი თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოს გაუმარჯოსო, ვერაფერს მოგვცემს, თუკი ამ დამოუკიდებელი საქართველოსათვის, მისი მდიდარი წარსულისათვის, და მისივე უკეთესი მომავლისათვის კონკრეტული საქმეების კეთებას არ შევუდექით. ასეთი საქმეები კი მოგეხსენებათ ძალზე ბევრი გვაქვს. რეალურ საქმეს უნდა შეეჭიდოს კაცი და ამით დაამტკიცოს პატრიოტობა, თორემ ადვილს ყველა გააკეთებს, გულმხურვალე პატრიოტიც და არაპატრიოტიც.

**— ბატონო შოთა! მესტიის რაიონში და არამარტო მესტიის რაიონში, გიცნობენ, როგორც მშობლიური მხარის გულშემატკივარ ადამიანს, ამიტომ თქვენთვისაც, უთუოდ, მტკივნეულია ხუდონჰესის საკითხი?**

— გთხოვთ, ამას ნუ ჩამითვლით კუთხურობად... თუკი სვანეთი მიყვარს, ამით, პირველ ყოვლისა, სრულიად საქართველოს პატრიოტი ვარ. სხვანაირად არ გამოდის. ზოგს ვერ გაუგია ეს. უჯრედი დაუზიანებელი თუ იქნება, მაშინ სხეულიც მთელი გამოდის.

საერთოდ კი, ძალზე უჭირს სვანეთის ეკოსისტემას. ჩემი აზრით, კრიზისი დაიწყო არა ხუდონჰესით, არამედ ენგურჰესით. განა მხოლოდ სხვამ უნდა ილაპარაკოს მთელი ხმით არალზე და ჩვენ არ უნდა ვთქვათ ენგურჰესზე. განა აქაც იგივე ტრაგედია არ დატრიალდა?! ოღონდ პირუკუ... თუ დასავლეთ საქართველოს ბარი ბუნებრივად ნოტიო იყო, მისი დაპირისპირება და მთლიანობაში მომყვანი მთა იყო. ახლა ეს ჰარმონია დარღვეულია. მთაც ცრიაკი და ნოტიო გახდა. თუ ჰარმონია, სიმეტრია, რიტმისაკენ სწრაფვა დარღვეულია, მაშინ რაღა გვრჩება.

განა ჩვენმა წინაპრებმა არ იცოდნენ, როცა აგებდნენ მთების შესაფერ ციხე-კოშკებს. ამით ისინი ბუნებასთან ჰარმონიულად დამაკავშირებელ ეროვნულ ლანდშაფტს ჰქმნიდნენ, ხოლო „ნუ დაველოდებით ბუნების წყალობასო"... ოციანი წლების დოქტრინაა და სხვა არაფერი.

ეროვნული სულისა და ხასიათის თავისებურებათა გამომხატველი ერთგვარი სიმბოლიკაა სვანეთის მთიანეთი, მისი ბუნება. ამიტომ თვით ლანდშაფტია ამ კუთხისა ხელით საგოგმანები და დასაცავი, თვითონ ბუნებაა ძვირფასი ძეგლი, რომელსაც მოფრთხილება ესაჭიროება. ჩვენ კი რას ვხედავთ აქ? — მრავალ ახალმშენებლობას, საეჭვო ღირებულების საწარმოთა სიმრავლეს, ტყის ჭრის გააქტიურებას, ტყის უღრან, უნიკალურ მასივებში ახალი გზების შეყვანას და მათ სამრეწველო ათვისებას, ამასთან დაკავშირებით მთისწინა კალთებზე აფეთქებების მოწყობას სამანქანო გზებისათვის, რაც ერთიანად შლის მიწის სტრუქტურას, ანადგურებს ნიადაგს და ხელს უწყობს თოვლის საფარის არამდგრადობას, ზვავებისა და მეწყერების ჩამოწოლას!

ყოველივე ეს პრობლემა, მართალია, თითქმის მხოლოდ ეკოლოგიურია, მაგრამ უკავშირდება ეროვნული კულტურის ისტორიასაც. მით უმეტეს, როცა ზოგჯერ საიმისო პირობებიც კი არ არის, რომ მშენებლობათა დროს არ დაინგრეს ესა თუ ის არქეოლოგიური ძეგლი. როგორც ეს დაემართა ქვედა უფარის მეტალურგიულ ქურებს, რომლებიც წალენჯიხის სატყეო-საწარმოო მეურნეობამ ტყის ათვისების დროს გაანადგურა; ასევე თივე ქმედება ჩაიდინა რესპუბლიკის საავტომობილო გზების სამინისტრომ მესტია-უშგულის საავტომობილო გზის გაყვანის დროს „საქელექტროქსელმშენმა", ხოლო ზარმან ზაფხულში, „საქკურორტმშენმა" ლენტეხის რაიონის სოფელ მუაში პულდოზერით დაანგრია XI-XII საუკუნეების ნაეკლესიარი და სამაროვანი.

დღევანდელი სვანეთის სინამდვილეში სამი სფეროა ერთმანეთზე გადაჯაჭვული. პირველი — ბუნების დაცვა, მეორე — ისტორიული ძეგლები, მესამე — ადამიანი. როცა ერთ სფეროში მიმდინარეობს ნგრევა, ინგრევა დანარჩენი სფეროებიც. ვინც ბუნებისა და ისტორიული ძეგლის მიმართ გულგრილია ან აგრესიულიც, ის მორალურ-ზნეობრივადაც არამდგრადი პიროვნებაა. ქრისტიანული კულტურა და ადამიანის ზნეობრივი კულტურა ამ რეგიონში ოდითგანვე ჰარმონიულ ერთიანობაში იყო, აქ ქრისტიანული კულტურის გამარჯვებაც სვანი ტომების ძირძველმა ზნეობრივმა ტრადიციებმა განაპირობა, ახლა კი თვალში საცემი ხდება ამ ტრადიციების რღვევა. ეს კი ძალზე მტკივნეულია და მრავალმნიშვნელოვანი საშიში.

**— ბატონო შოთა! გარდა მესტიის რაიონისა, მიმდინარეობს თუ არა არქეოლოგიური გათხრები დანარჩენ სვანეთშიც?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ ეს უფრო დაზვერვითი ხასიათისაა. საინტერესო შედეგებს მოგვცემდა არქეოლოგიური გათხრების გაფართოება ქვემო სვანეთში. აგრეთვე, „დალის სვანეთში". თითქმის ბოლო დღეებამდე ეს უკანასკნელი რეგიონი ჩაბუღრებული იყო ჩვენთვის. არადა გათხრები, მნიშვნელოვან შედეგებს მოგვცემდა. „დალის სვანეთი" ხომ ტოტემისტურ ფაზას უკავშირდება, პირველყოფილი თემური წყობილების დედისეული გვარის ხანას და სახელწოდებაც „დალის სვანეთი" ამ ხანიდან ჩანს დამკვიდრებული. სიტყვა „სამშობლოსი" არ იყოს, რომელიც ერთგვარი სემანტიკური გასაღებია ქართულ ენაში და დედას უკავშირდება. შემდგომი ხანის ტერმინი კი, ალბათ, „მამულია". ერთი სიტყვით, დალის კულტთან, დედასთან დაკავშირებული ჩანს ეს კუთხე, და, მაშასადამე, სამშობლოა სვანი ტომისა.

ამასთან დაკავშირებით, ბარემ აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან კარგია როცა სკოლებში საქართველოს ისტორიის სწავლება დაიწყო. როგორც იქნა გაიხსნა გზა საკუთარი თავის შეცნობისაკენ. მაგრამ ჩვენი ბავშვები ამასთან ერთად უნდა სწავლობდნენ ქართულ მითოსს, ფოლკლორს და სისტემატურად იღებდნენ ქართველურ ენათა ზოგად საენათმეცნიერო ცოდნას. ყველაფერი ეს კი დაგვეხმარება ერთიანობის ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებაში.

**— იქნებ სვანეთის არქეოლოგიურ გათხრებში მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებაც გვიამბოთ?**

— ახალგაზრდები თავისი სურვილით მოდიან და გვეხმარებიან, მაგალითად, ჰუბერელი მოსწავლეები. ჰუბერის სამაროვნების გათხრებში დაგვეხმარნენ, ხაიშის სკოლის მოსწავლეებმა შუა საუკუნეების ძეგლების და სამაროვნების გათხრებისას გაგვიწიეს დახმარება. დაზვერება აღმოგვიჩინეს ეცერის, მესტიისა და ლენტეხის საშუალო სკოლების მოსწავლეებმა. დიდი მადლობა მათ. იმედი მაქვს, ბევრი მათგანი არქეოლოგის სპეციალობასაც აირჩევს მომავალში. აქვე უნდა ვთქვა, რომ სასურველი იქნებოდა სკოლებში მოგვეწყო არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული კაბინეტები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ საქართველოს ისტორიის უკეთ სწავლებას. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია — მესტიის რაიონის არცერთი სკოლა, არცერთი კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებას არა აქვს აღებული მზრუნველობა ძეგლებზე. ნიშანდობლივია ისიც, რომ ჯერ გამოხმაურება არ მოჰყოლია ამ ცოტა ხნის წინ „ახალგაზრდა ივერიელში" გამოქვეყნებულ პედაგოგ ზ. ედილაშვილის წერილს — „მსურველებმა დაგვირეკეთ", რომელშიც ავტორი თავის კოლეგებს მოუწოდებდა აქტიური მონაწილეობა მიეღოთ მიწისზედა და მიწისქვეშა ძეგლების შესწავლაში. ცხადია, არც მესტიის რაიონში გამოხმაურებიან. არადა სკოლას ძალუძს მოსწავლეთა დაინტერესება ისტორიის, კულტურის ძეგლების და ბუნების არქეოლოგიური კვლევა-ძიებით, ეს კი პატრიოტული, ზოგადსაკაცობრიო, ჰუმანისტური იდეალებით ახალგაზრდობის აღზრდის საწინდარია.

**— ბატონო შოთა! საქართველოში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია თამარ მეფის საფლავთან დაკავშირებულმა პუბლიკაციებმა, წერდნენ, თითქოს იგი სოფელ უშგულში მთავარანგელოზის ეკლესიაშია დასაფლავებული. როგორც ვიცით, ეს ხმები არ დადასტურდა. ახლა ამბობენ, თამარის საფლავის ძიება არ შეწყვეტილა და სხვა ეკლესიაში გრძელდებაო...**

— ჩემი აზრი მაშინ განვაცხადე, როცა შევიტყვე, რომ ზეპირი „ანდერძის" საფუძველზე არქეოლოგიური გათხრების სამზადისი მიმდინარეობდა. ჯერ ერთი, არც ისტორიული წყაროები, არც არქეოლოგიური, მონაცემები, არც ამ ადგილის გეოლოგიური წყობა არ იძლეოდა რაიმე საფუძველს უშგულში — ჩიჟაშის ეკლესიაში თამარ მეფის საფლავი გათხრების საშუალებით გვეძებნა. და, მეორეც, სვანი ადამიანები ბუნებით მორწმუნენი, რელიგიურნი არიან და განა მათ შორის მკრეხელობად არ გამოჩნდებოდა ეკლესიაში შესვლა და იატაკის დანგრევა. როგორც ეს მოხდა უშგულში. აქ მორწმუნისადმი უპატივცემულობა კი არ არის მხოლოდ, არამედ ქრისტიანულ-ზნეობრივი ხალხური ტრადიციების რღვევაც არის, რომელიც კარგს არაფერს უქადის საზოგადოებას.

მესამეც, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში არსებობს ზეპირი გადმოცემა თამარის იქ დაკრძალვის შესახებ. დაე, თვითეულ მათგანს დარჩეს ეს ლამაზი თქმულება. ჩემი ნება რომ იყოს, არავის არ მივცემდი თამარის საფლავის ჩხრეკის უფლებას. გრიგოლ რობაქიძისა არ იყოს „თამარი ყველას ეკუთვნის და არავის. მისი საფლავი ქართველის გულია..."

**— გმადლობთ საუბრისათვის.**

**ავტორთა თხოვნით ინტერვიუს ჰონორარი გადაირიცხება ხადროში „ლემის" ანგარიშზე.**

**სურათებზე: ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ქანდაკებები, ძვ. წ. VI საუკუნე (სოფელი ჰუბერი); ანტიკური ხანის გორა-ნამოსახლარი (სოფელ უშგული);**







# სალმან რუშდი, კუპრიანოვი და... საქართველო

რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდამ" „მოახერხა" ორი ისეთი სახელის ერთად მოთავსება, როგორიცაა „რუშდი" და „საქართველო". დასახელებული გაზეთის ამა წლის 18 თებერვლის ნომერში, რუბრიკით: „დიალოგი: მოგვეცით კითხვები", საკმაოდ ვრცელი კორესპონდენციაა მოთავსებული სალმან რუშდის შესახებ. ხარკოველი ვ. სულიმსკის შეკითხვას, ამ გახმაურებულ პიროვნებაზე და მის გარშემო ატეხილ პერიპეტიებზე პასუხობს გაზეთის ლონდონელი კორესპონდენტი ა. კუპრიანოვი. კუპრიანოვი დაწვრილებით გადმოსცემს იმ სიტუაციას, რაც შეიქმნა მწერლის (ს. რუშდის) მიერ „სატანური ლექსების" გამოქვეყნების შემდეგ, რაც ისლამურმა ფანატიკურმა წრეებმა რელიგიური გრძნობების უკიდურეს შეურაცხყოფად აღიქვეს. აღწერს ირანის ახალი ხელმძღვანელობის „რესკრიპტს", რომელშიც კვლავ გამეორებულია ჰომეინის შეურიგებელი პოზიცია და რუშდის სიკვდილით დასჯის განაჩენი. ყველაფერი, რაც ამ პასუხშია მოცემული, გასაგები და ნორმალური იქნებოდა, თუ არა კორესპონდენტის მიერ ბოლოს დართული კომენტარი ა. კუპრიანოვი, თურმე გლობალურად განიხილავს ფანატიზმის შეურიგებელ პოზიციებს, რაც გამოვლინდა ამ კონკრეტულ შემთხვევაში. აი, სწორედ აქ, კვლავ თავს იჩენს მთელი რუსეთის საყვარელი თემა — საქართველოს „გამოსწორებაზე" ზრუნვა. სტატიის ბოლოს, ფანატიზმის მოვლენასთან დაკავშირებით კუპრიანოვი წერს (სიზუსტისთვის მოგვყავს რუსული ტექსტი):

«Пишу эти строки, ни на минуту не забывая тревожных сообщений из своей страны — Грузия, Армения, Азербайджан... Теперь еще и Таджикистан... Гуманизм, взаимопонимание, терпимость, как часто не стало хватать их всем нам — мусульманам и христианам, верующим и атеистам». («к. пр.» № 42, 18/II, 1990 г.). (ხაზი ჩვენია, ვ.კ.).

ცხადია, რომ საქართველოს პირველ ადგილზე და ყოვლად უადგილოდ „ჩაჩხირვა" სავსებით გამიზნულად არის გაკეთებული. მსოფლიო და საბჭოთა მკითხველს კიდევ ერთხელ შენიღბული სახით ახსენებენ: არ დაგავიწყდეთ ვისთან გაქვთ საქმე, არ გამოგრჩეთ საქართველო! იგი ხომ „მცირე იმპერიაცაა", მის ტერიტორიაზე მცხოვრებ მცირე ხალხებსაც სასტიკად ავიწროვებს, ებრაელებსაც „პამიატზე" მეტად არბევს (ეს განუცხადებია ნიუ-იორკის გაზეთ „ნოვოე რუსკოე სლოვოში" ემიგრანტული სოლიდური ჟურნალის „კონტინენტის" რედაქტორის მაქსიმოვს) და ა. შ.

თუ ბ-ნ კუპრიანოვს მართლაც ჰუმანიზმი და ტოლერანტობის ნაკლებობა ალაპარაკებს, მაშინ ჯერ იმაზე იზრუნებდა ასეთ დელიკატურ საკითხზე მსჯელობისას, სწორად შეერჩია ადრესატები, ვისაც მეტ შემწყნარებლობას უკიჟინებს. მას რატომღაც სრულიად „გამორჩა" ხალხთა შორის „ძმობისა და მეგობრობის" ისეთი მეხოტბე, როგორიც გახლავთ საზოგადოება „Память" გამორჩა აგრეთვე ფერღანის საშინელი ამბებიც და მიზანში სულ სხვა ხალხი ამოიღო.

ეს ყველაფერი, შესაძლოა დღევანდელ მოვლენათა ფონზე გასაკვირიც არ იყოს, მაგრამ აქ კიდევ ერთი გარემოება გვახსენდება. ლონდონში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულემ, ბატონმა რამაზ კლიმიაშვილმა, 1989 წ. 29 აგვისტოს, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტისათვის" მიცემულ ინტერვიუში, აფხაზეთის ამბებთან დაკავშირებით ფრიად საინტერესო ცნობა მოიტანა. იგი წერდა: „15-26 ივლისის აქციას (იგულისხმება აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია, ვ. კ.) (წინ) უძღოდა ერთი საყურადღებო ფაქტი, რომელიც ქართველმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს. ეს არის ის, რომ რამდენიმე დღით ადრე, დასავლეთის პრესაში გამოჩნდა მოსკოველი კორესპონდენტების სტატიები, სადაც ისინი ამტკიცებენ... თითქოს ქართველებს უნდათ აფხაზები გაასახლონ ჩრდილო კავკასიაში.

საინტერესოა, ევროპელთა და კერძოდ ბრიტანეთის საზოგადოების ასეთ ძლიერ დეზინფორმაციაში და ანტიქართული განწყობილების შექმნაში ბ-ნ კუპრიანოვსაც ხომ არ მიუძღვის თავისი წილი?

**ვაჟა კიკნაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვფიქრობ, მხარს დამიჭერთ

ამ დღეებში ფრიად სასიხარულო ცნობა გვაუწყეს გაზეთებმა. საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგიამ საზოგადოების ფართო მასების ინტერესებისა და უმაღლესი სასწავლებლების რექტორატების აზრთა გათვალისწინებით მიიღო გადაწყვეტილება — რესპუბლიკის ზოგიერთ რეგიონებში უმაღლესი სასწავლებლების ფაკულტეტების გახსნის შესახებ.

განათლების მესვეურთა ამგვარი მამულიშვილური შემართება დროული და მისასალმებელია. თითოეულ ჩვენგანს მადლობის მეტი რა გვეთქმის ამ საშვილიშვილო წამოწყების გამო. მე, როგორც ინგილო ქართველი, დიდი ინტერესით თვალყურს ვადევნებ საქართველოში მიმდინარე პროცესებს და მახარებს ეროვნული პრობლემების ახლებური გადაწყვეტა. რესპუბლიკაში რეგიონალური სასწავლო კერების გახსნა, იმდენად პროგრესული მოვლენაა; რომ იგი მაბედვინებს სათანადო კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელობისა და ფართო საზოგადოების წინაშე გამოვთქვა ჩემი მოსაზრება. საქმე ეხება ინგილო ახალგაზრდობის სწავლა-განათლების მეტად მნიშვნელოვან პრობლემას.

ყოველწლიურად რამდენიმე ასეული ინგილო ახალგაზრდა ჩამოდის თბილისში. ისინი სათანადო შეღავათებით სარგებლობენ და ირიცხებიან როგორც უმაღლეს სასწავლებლებში, ასევე სხვა სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში. ამ მეტად მნიშვნელოვან ეროვნულ საქმეს ადრიდანვე ჩაეყარა საფუძველი და აგერ, უკვე სამ ათეულ წელზე მეტია, რაც ეს პროცესი მიმდინარეობს. ამ შესანიშნავ საქველმოქმედო საქმეს თან ახლავს ერთი არასახარბიელო ტენდენცია·

ინგილო ახალგაზრდობა აღარ უბრუნდება მშობლიურ კუთხეს.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებს შორის მიღებული დადგენილებები ინგილო ქართველების შესახებ, მათი პრაქტიკული განხორციელება დღესაც ჭიანურდება.

თანდათანობით დაიცალა საინგილო ქართველობისაგან. დღეს სად არ შეხვდებით ცხოვრების საარსებო პირობების მაძიებელ ინგილოებს.

ამ ბოლო დროს არის ერთგვარი ცდები, რომ უმაღლეს დამთავრებული ინგილოები დაასაქმონ მშობლიურ კუთხეში, მაგრამ ეს იმდენად მწვავე პრობლემაა, რომ იგი ჯერჯერობით მხოლოდ მოწოდების დონეზე რჩება.

საინგილოს ქართველობა სჭირდება, რა იქნება საინგილო უქართველოდ?! ეს ხომ საბედისწერო ლახვარი იქნება ქართველი ერისათვის. ყველა ინგილომ უნდა იცხოვროს იქ, სადაც მისი ისტორიული მამაპაპისეული მიწა-წყალია. საინგილო უინგილოოდ არ უნდა დარჩეს. ჩვენი ერთობლივი ძალა და ენერგია ამ მიზნის რეალიზაციისკენ არის მიმართული.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საინგილოს მიმდებარე ტერიტორიაზე ლაგოდეხში უმაღლესი სასწავლებლის ფაკულტეტების დაარსება (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამედიცინო, სასოფლო) ამგვარი სასწავლო დაწესებულებების დაარსება ხელსაყრელი და სასურველია, როგორც კახეთის მოსახლეობისათვის, ასევე ინგილო ქართველებისათვის. ამ გზით ინგილო ქართველობა დაუახლოვდება მშობლიურ კუთხეს, ისინი უშუალო მონაწილეობას მიიღებენ მშობლიური კუთხის სოციალურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ საქმიანობაში. ამასთანავე, ნაწილობრივ შეწყდება ინგილო ახალგაზრდობის დენადობა თბილისისაკენ. ასევე კარგი იქნება, თუ ის შეღავათები, რომლებიც ეძლევათ ინგილოებს მისაღები გამოცდების ჩაბარებისას, გავრცელდება მხოლოდ მათზე, ვინც ისურვებს ამ ახლად დაარსებულ კერებში სწავლის გაგრძელებას.

ვიმედოვნებთ, რომ უყურადღებოდ არ დატოვებთ ჩვენს წინადადებას, ვფიქრობთ, ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელი გახდება კიდევ ერთი სასწავლო კერის დაარსება საქართველოს „შორეულ აღმოსავლეთში“.

**ახრად ომარაშვილი,**
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.**

---

**ამა წლის 3 აპრილს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა პოეტების მზია ხეთაგურისა და ვანო ჩხიკვაძის საქველმოქმედო საღამო, რომლის მთლიანი შემოსავალი გადაირიცხა საქართველოს დემოგრაფიულ ფონდში.**

**მადლობა მათ მამულიშვილური საქმისა და თანადგომისათვის.**

**საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების გამგეობა.**
**პროპაგანდის კომიტეტი.**

---





# ლიტერატურული კომპოზიცია „კვალი ნათელი“

თბილისის № 3 საფეიქრო-სამკერვალო სასწავლებლის სასცენო ხელოვნების მოყვარულები გაერთიანებული არიან დრამატულ წრეში, რომელსაც ხელმძღვანელობს ისტორიის მასწავლებელი მარინე ელიაური. წრის წევრების ანგარიშზე ბევრი შემოქმედებითი წარმატებაა. ახლახან ბავშვებმა მაყურებლებს უჩვენეს ლიტერატურული კომპოზიცია „კვალი ნათელი“, რომელიც მიუძღვნეს თბილისში 9 აპრილს მომხდარ ტრაგიკულ მოვლენებს.

სცენარი და მუსიკა ეკუთვნის სასწავლებლის აღსაზრდელს თამრიკო ლექავას. იგი თვითონ ასრულებს სიმღერებს. ლიტერატურული კომპოზიციის დადგმა განახორციელა წრის ხელმძღვანელმა მარინე ელიაურმა.

წარმოდგენაზე მიიწვიეს საბაზო საწარმოს მუშაკები, აგრეთვე ახლომდებარე საშუალო სკოლების პედაგოგები და მოსწავლეები, რომლებმაც გულთბილად მიიღეს კომპოზიცია.

●

**სურათებზე: სცენები ლიტერატურული კომპოზიციიდან.**

**ბ. დვალიშვილის ფოტო,**
**საქინფორმის ფოტოქრონიკა**

---

# პასუხი რედაქციას

გაცნობებთ, რომ „ახალგაზრდა ივერიელის“ 1990 წლის 22 მარტის ნომერში დაიბეჭდა რუსთაველის საზოგადოების განყოფილების გამგის ჯიმშერ წიკლაურის ინფორმაციული წერილი „გაფიცვა ონში“. მოგახსენებთ, რომ კულტურის განყოფილების გამგის ამხ. გ. ბურდილაძის სამუშაო კაბინეტის კარების აჭედვის ფაქტთან დაკავშირებით, სახალხო თეატრის რეჟისორმა გ. ჯაფარიძემ აქციის მოწყობა ასე განმარტა. „მე როგორც რუსთაველის რაიონული საზოგადოების თავმჯდომარემ მოვუწოდე კულტურის განყოფილების რუსთაველის საზოგადოების პირველად ორგანიზაციას მშვიდობიანი გაფიცვისათვის“, რის საფუძველზედაც 1990 წლის 15 თებერვალს მოხდა გაფიცვა. გაფიცულებმა მოითხოვეს დადგენილიყო კარების აჭედვის გამომწვევი მიზეზები, რისთვისაც რაიონული საბჭოს აღმასკომის განკარგულებით შეიქმნა კომისია. კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებმა.

დადასტურებულია, რომ კარების აჭედვის მიზეზი გახდა კულტურის სახლთან არსებული ვიდეო სალონის ფუნქციონირებაში არსებული უთანხმოება. კომისიამ ცნობად მიიღო, რომ კარების აჭედვის აქციის შემსრულებელი მ. მაღლაფერიძე არის სახალხო მოძრაობის წარმომადგენელი და საქმეს იძიებს შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილება, გამოძიების შედეგების შესაბამისად დამნაშავე პირები დაისჯებიან. რაც შეეხება იმას, რომ თითქოს გაფიცული იყო რაიონის კულტურის ყველა დაწესებულება, არასწორია. აქციის პირველ დღეებში რაიონის 50-მდე დაწესებულებიდან გაფიცული იყვნენ სარაიონო ბიბლიოთეკის, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, მუსიკალური სკოლის და თვით კულტურის განყოფილების აპარატის მუშაკები, ხოლო ამის შემდეგ აქციას აგრძელებენ განყოფილების აპარატის მუშაკები.

რაც შეეხება კორესპონდენციაში აღნიშნულს: „საპროტესტო აქციის მიზეზი გახდა ის, რომ კულტურის სახლის დირექტორი უხეშად ერევა კულტურის დაწესებულებების მუშაობაში“, სინამდვილეს არ შეესაბამება და ეს აზრი რაიონის კულტურის დაწესებულებათა ყველა თანამშრომელმა უარყო.

საგამომძიებლო დასკვნამდე არამართებულად მიგვაჩნია ეჭვების პუბლიკაცია, ამა თუ იმ პირის დამნაშავეობაზე.

ის, რომ კულტურის განყოფილების აპარატის მუშაკები კატეგორიულად მოითხოვენ კულტურის სახლის ყველა მუშაკის სამუშაოდან დათხოვნას, არასწორად მიგვაჩნია და მოვითხოვეთ კულტურის სამინისტრომ კომპლექსურად შეისწავლოს ონის რაიონის კულტურის ქსელის მუშაობა. სხვანაირად მუშაკების განთავისუფლების კანონიერი საფუძველი არ არის. თუმცა კულტურის სახლის დირექტორმა ი. ბ. ნოდარიშვილმა, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, დაწერა განცხადება და მისი თხოვნა სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ დააკმაყოფილა რაიონული საბჭოს აღმასკომმა.

არაობიექტურია წერილის ავტორი, როცა კომისიის დასკვნის განხილვის გაჭიანურების მიზეზად თვლის რაიკომის პირველ მდივანს და მის ოჯახს. ფაქტიურად საკითხის განხილვა გაჭიანურდა იმის გამო, რომ ჩვენ რამდენჯერმე დავაყენეთ საკითხი კულტურის სამინისტროს წინაშე კომპეტენტური კომისიის შექმნის შესახებ, რომლის დასკვნებისა და მითითებების შესაბამისად განხორციელდებოდა სათანადო ორგანიზაციული ღონისძიებები, მაგრამ სამწუხაროდ კომისია დროულად არ ჩამოვიდა.

**ზ. ხომასურიძე,**
**ონის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.**

---

# განცხადებები

## თბილისის კომუნალური მეურნეობის სასწავლებელი აცხადებს

მოსწავლეთა მიღებას 1990-91 სასწავლო წლისათვის. სასწავლებელი ამზადებს ზეინკალ-სანტექნიკაირშემდუღებლის, ელექტროაირშემდუღებლის, ლიფტების ელექტრო მექანიკოსის და ზეინკალ-ავტოშემკეთებლის სპეციალობის მაღალკვალიფიცირებულ სპეციალისტებს.

სასწავლებელში მიიღებიან ორივე სქესის ახალგაზრდები 30 წლის ასაკამდე, რომლებსაც აქვთ სრული საშუალო განათლება, ხოლო ზეინკალ-სანტექნიკაირშემდუღებლის სპეციალობაზე გარდა საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდებისა მიიღებიან აგრეთვე ის ახალგაზრდები რომლებსაც დამთავრებული აქვთ რვა კლასი ან სწავლობენ მე-9, მე-10 კლასებში და სურვილი აქვთ სპეციალობის მიღებისა.

სწავლების ვადა 10 თვეა.

სწავლის დრო ითვლება მუშაობის სტაჟად. მოსწავლეებს მიეცემათ სტიპენდია დადგენილი წესით, ხოლო ფრიადოსნებს სტიპენდია გაეზრდებათ 25%-ით, საწარმოო პრაქტიკის დროს გამომუშავებული თანხის 50%-იც მიეცემათ მოსწავლეებს.

ყველა კურსდამთავრებულს ეძლევა უფლება უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების ჩაბარებაზე. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მიეცემათ პროფესიის შესაბამისი დიპლომი და განაწილდებიან საბაზო ორგანიზაციებში.

სწავლა ქართულ ენაზეა.

სასწავლებელში მიიღებიან თბილისში მუდმივად მცხოვრები ახალგაზრდები, ხოლო რაიონებიდან ჩამოსულებისათვის საჭირო იქნება მომართვა სასოფლო საბჭოებიდან ან სხვადასხვა დაწესებულებებიდან.

მსურველებმა უნდა შემოიტანონ განცხადება დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით.

**1. საშუალო განათლების ატესტატი (დედანი)**
**2. დაბადების მოწმობა**
**3. დახასიათება**
**4. ავტობიოგრაფია**
**5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან**
**6. სამედიცინო ცნობა ფორმა № 086-უ**
**7. 6 ცალი ფოტო სურათი ზომით 3X4**
**8. შრომის წიგნაკი ან ცნობა, რომ არსად არ უმუშავია.**

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. განცხადებების მიღება სწარმოებს ყოველდღე გარდა კვირისა.

**სასწავლებლის მისამართია: ა. წერეთლის გამზირი 67-ა თბილისის კომუნალური მეურნეობის სასწავლებელი (ყოფილი № 168 პროფტექნიკური სასწავლებელი) ტელეფონი: 34-16-78, 35-00-04.**

**სასწავლებლის დირექცია**

---

ვითვალისწინებთ რა საქართველოში მაცხოვრებელი ოსი მოსახლეობის დიდი ნაწილის სურვილს, გაიზიაროს ქართველი ერის ტკივილი 9 აპრილს თბილისში დატრიალებული ტრაგედიის გამო, ვაწყობთ ორგანიზებულ სამგლოვიარო მსვლელობას.

ამიტომ, საქართველოში მცხოვრებ ოს მოსახლეობას ვაცნობებთ: 9 აპრილს, 11 საათზე, შევიკრიბოთ, ქ. თბილისში, ჯორჯიაშვილის ქუჩის მიმდებარე კომუნარების ბაღის ქვედა ნაწილში, №8 აფთიაქისა და №68 საშუალო სკოლის მოპირდაპირე მხარეს.

**ოსური ასოციაცია „სიმართლე“ — „რასდძინად“.**

---

**რედაქტორი**
**მერაბ ბალარჯიშვილი**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის [illegible] სტამბა, [illegible], თბილისი-96, კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო
ქაღალდზე. ხოზაქაღალდი [illegible]. [illegible]
უე 00216